

პრობლემა
გაგლითობა

ახალგაზრდა ივერიელი

წამყვანი
ნიუმერი
ოქტომბერი
№ 114—115 (11600—601)
1990

1921 წლიდან

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ფანი 6 კაპ.



ყველაური საუკეთესო გაგვაგან!

გუგონებო, მოვიხსვით,
კა მოვკინებოთ
„ახალგაზრდა ივერიელი“

ათეული წლების განმავლობაში ვატყუებდით ბავშვებს ლოზუნგებით და იხინიც საუკეთესოს მოლოდინში ითმენდნენ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. ამ ფოტოსურათებზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ხრულიად შემთხვევით გადაიღო X საბავშვო ბაღში, მათი საპროტესტო აქციაა გადაღებული. თუ რას ითხოვენ იხინი, ამას ფოტოებიდან მიხვდებით.

რედაქცია ხრულ სოლიდარობას უცხადებს ბავშვებს და მოითხოვს — ბოლოს და ბოლოს ვაქციოთ საქმედ ლოზუნგი — „მშველადგარი საუკეთესო ბავშვებს“.

იდეის, ფოტოებისა და ნახატის ავტორები არიან მ. დავითიძე, ბ. ვადაკორია და კ. ტაბიძე.

განსხლავს, ქრონიკა, ინფორმაცია

18 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ უზენაესი საბჭოს არჩევნებში დაწვევის საკითხი და უარი უთხრა მას არჩევნებში მონაწილეობაზე.

თანხმად არჩევნების შესახებ კანონის, პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ ამოღებულია არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციათა სიიდან.

როდესაც 1988 წელს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტი კინო-ტელევიზიულ სასწავლებლების საერთაშორისო ასოციაცია „სილექტის“ წევრად აირჩიეს, ეს ჩვენთვის, ვინც სხვადასხვა დროს დავამთავრეთ კინოფაკულტეტი, მეტად საინტერესო და საინფორმაციო იყო, რადგან ჩვენი პედაგოგების, ყოველი ჩვენგანის მცირედი წვლილის საქვეყნო აღიარებას ნიშნავდა. პირველივე მოკრძალებული სტუდენტური ფილმები ხომ მრავალჯერ აღინიშნა საერთაშორისო კინოფესტივალებზე უარესად პრესტიჟული ჯილდოებით. ამგვარად გაჩნდა კინემატოგრაფიულ საქაროში მართლაც უჩვეულო, იშვიათი ეროვნული თვითყოფილობით გამოირჩეული ფენომენი „ქართული კინოსკოლა“.

სწორედ ამ მაილი რეპუტაციის შესანარჩუნებლად, სრულებით ბუნებრივია, რომ 1989 წლის

სექტემბერში საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის, ჩვენი კინემატოგრაფიის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, დაიწყო კინოფაკულტეტის კინოინსტიტუტად გარდაქმნის საკითხი, რაც დღეს უკვე პრაქტიკულად უნდა გადაწყდეს.

სულითა და გულით მივესალმებით ქართველ კინემატოგრაფისტთა ამ ოცნების ხორცშესხმას და შევნატრით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ქართულ კინოინსტიტუტში ისწავლიან.

თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულები:

ნანა ჯორჯაძე, ნანა ჯანელიძე, ნინო ლაბიაშვილი, ბაბა ფოცხიშვილი, ნინო მჭებე, ბაბუღია ნიკოლაიშვილი, გოგიატა ქვიციანი, ლევან თუთუბაძე, ალექს ცაბაძე, აკაკი შანიშვილი, ბებო გორგობაძე, ვია ბატარაძე, დათო შუშანიძე, ლევან კიტია, დათო მეფარიშვილი.

დღეს კი ყველა ჩვენგანს გვიწუხებს ის ფაქტი, რომ დემოკრატიული მიზანმიმართული მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით.

სწორედ დროულად და ამ უშუაინდესი მიზნით მერბ კოსტავას

სახელობის საქართველოს სააღმშენებლო ფონდთან ჩამოყალიბდა მრავალშვილიან დედათა ასოციაცია „დედის ძახილი“, რომელიც ჩვენი მტკიცე რწმენით ყველაზე უფრო კეთილშობილური იდეების მატარებელი იქნება.

1990 წლის 26 სექტემბერს ჩატარდა მრავალშვილიან დედათა ასოციაციის გამგეობის პირველი სხდომა. ასოციაციის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული თეატრალური ინსტიტუტის დედა ქანი თამარ ჩიჭოვანი.

ასოციაცია „დედის ძახილი“ ფართო მხარდაჭერისა და თანაგრძობის ღირსია საზოგადოების მხრიდან.

მრავალშვილიან დედათა ასოციაცია „დედის ძახილის“ გამგეობა.

განხილვა

პუბლიცისტური ასოციაცია „კათარზისი“ სათნოების ორდენი შეასწავლეს ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს პუბლიცისტურ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაბრუნებულ თანამოძმეს დაეთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბებიან ქაშუეთის ტაძრის

ეზოში შაბათს, 20 ოქტომბერს, 11 საათისათვის.

ასი ყველაზე უქონელი თბილისისათვის საბუღ პროდუქტებს ამჯერად შეიძენენ ელექტროფონოგრაფიული მანერის თანამშრომლები.

სათნოების ორდენი (პუბლიცისტური ასოციაცია „კათარზისი“)

პუბლიცისტი

პუბლიცისტური ასოციაცია „კათარზისი“ შიდა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოება მოგვიწოდებთ არ გაიპაროს პირი საპარამუნტროში საერთო ხელსაწყოებით.

განხილვა: პირის პარსვა არასტერილური ინსტრუმენტებით შიდა გავრცელების ერთგვარი გზაა.

შიდა გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოება (პუბლიცისტური ასოციაცია „კათარზისი“)

„იყოლიეთ შეიდი შეილი და მეტი, თქვენ შეგიწევთ შეიდი ანგელოზი“. ამ სიტყვებით იწყე-

ბა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარების ილია მეორის საგანგებო ლიტურგიკული წიგნი, რომელიც მიმართულია ქართული ოჯახების ძლიერებისა და ბედნიერებისათვის.

დღეს, როგორც არასდროს, ყველა ქართველ დედას სამშობლო მუხლოდრეკით შეილთა სიმრავლეს ვევედრება. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ფიციური არსებობა მხოლოდ სიმრავლეშია.

9 აპრილი

9 აპრილს მოწამული ავადყოფი იხა რუხაძე, რომელიც დავადებულია მწვავე მიელომასტური ლეიკოზით, საქართველოს საზოგადოებას ძვლის ტვინის გადანერგვაზე თანახმა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სენტლის სამკურნალო კლინიკა ოპერაციის ღირებულება 185 ათასი დოლარია. 9 აპრილს მოწამულთა დახმარების კომიტეტი სთხოვს ყველა ორგანიზაციის გამოიღოს დახმარების ხელი, რათა ყველამ ერთად გადავარჩინოთ 19 წლის ქალიშვილი.

კომიტეტის საგალუტო ანგარიშა — ხსრკ ხაგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, ანგარიში 986430243, ინდექსი 880008, კოდი 805227, მრეწველმწარმოის რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო ხაზმართველი 000700828.

ქართული საინფორმაციო თეატრი „იპარია“

„დს-ინფორმი“

გვატყობინებს

სანატ-პეპერაზარბი. რუსეთის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ჩრდილო-დასავლეთი განყოფილების საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, მხარი დაუჭიროს დემოკრატიული კავშირის სპექტრბურგის ორგანიზაციებს, რომლებიც 7 ნოემბერს, ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების 73-ე წლისთავზე, რიგი სამგლოვიარო ღონისძიებების ჩატარების ინიციატივით გამოდიან.

კიევი. ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაებმა დააკავეს უცნობი, რომელიც ასაფეთქებელი პაკეტის შეტანას ცდილობდა მოშიშშილე სტუდენტების ბანაკში. იგი აღმოჩნდა კიევის სამხედრო სასწავლებლის სტუდენტი, გვარად პოპოვი. საქმეს იძიებს ქალაქის პროკურატურა.

ივანო-ფრანკოვსკი. 9 ოქტომბერს, საღამოს, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით აიღეს ლენინის ძეგლი. ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგე ვეტერანებმა და სამხედროებმა დილიდანვე გაუქმეს პეკეტირება ქალაქის საბჭოს შენობას, მაგრამ ამით არაფერი შეიცვალა. ძეგლის დემონტაჟთან დაკავშირებულ 30-ათასკაციან მიტინგზე უკრაინისა და რუსეთის ეროვნული დროშები ფრიალებდა.

კიევი. კიევის ცენტრალურ მოედანზე მოშიშშილე სტუდენტებს შორისაა ებრაელი აქტივისტი ევგენი ბორდოვსკი. ის სხვებთან ერთად სცემს უკრაინის უმაღლესი საბჭოს შენობის წინ. ასევე აღმოსავლეთში „ებრაული საკითხისადმი“ საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით ბორდოვსკის გადაწყვეტილი აქტს მშვიდობის ლაშქრობის მოწყობა. ბორდოვსკი თვლის, რომ აუცილებლად უნდა დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა უკრაინასა და ისრაელს შორის და ასევე აუცილებლად გაწყდეს ეს ურთიერთობა სსრკ და სადაც ქუსენის მთავრობებს შორის. ბორდოვსკის მიერ ჩაფიქრებული მშვიდობის ლაშქრობა კიევი დაიწყება და იერუსალიმში დამთავრდება.

ანდორპაციები მამზადა
პაპა გავლიშვილი.

რამდენიმე დღე დარჩა საქართველოს პარლამენტის არჩევნებამდე. ამ დღეში მოვლენისადმი ყურადღებას არა მარტო ქართული პრესა და ტელევიზია იჩენს, არამედ უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც.

საფრანგეთის ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ საქართველოში არჩევნების შესახებ ათწუთიანი ფილმის გადაღება შეუკვეთა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივი საწარმო „მეტეხის“ კომერციული რეკლამის განყოფილებას, რომლის დირექტორიც ტელემიყურებლებისთვის კარგად ცნობილი ავთანდილ ქურდიანია. განყოფილება აღქურვილია „სონის“ ფილმის უახლესი საუკეთესო იაპონური აპარატურით, რომელიც საშუალებას იძლევა მსოფლიოს ნებისმიერი ტელევიზიისათვის მოამზადოს საუკეთესო მასალა.

ფოტოზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, ავთანდილ ქურდიანი ინტერვიუს იღებს ავთანდილ ვეტერანთა კავშირისა და სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის თავმჯდომარესთან ნოდარ გიორგაძისაგან. აქვე დაეძინა, რომ ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ბატონი ნოდარი ავთანდილ ვეტერანთა კავშირის საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი. როგორც მან გვითხრა, დელეგაცია ავთანდილ სოლოდაროვს, მშვიდობისა და მშვიდობის კავშირის მიერ არის მიწვეული. დელეგაციის ამოცანა საქართველოსა და ავთანდილ შორის მეგობრული, კუ-

დაკვირვებით დავაგასვიმ დავრუნებამ



ლტურული, ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება და რაც ყველაზე მთავარია ავთანდილ საქართველოდან გაწვეული ტყვეების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა

და მათი დაბრუნების შესაძლო ვარიანტების განხილვა.

თუ რა შედეგს მიაღწევს ეს დელეგაცია, რომლის დაბრუნებასაც ვინ იცის რამდენი შევლდაკარგუ-

ლი ჯარისკაცის დახი ელოდება. მათი დაბრუნების შემდეგ გავიგებთ.

ბადრი პაპაშვილი
პ.პ. მარის ფოტო

მხარს ვუჭერთ

ამა წლის 16 ოქტომბერს, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის სტუდენტური განყოფილებისა და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა სადისკუსიო კლუბის ერთობლივი განცხადება, უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის საბჭოთა არმიის დაქვემდებარებიდან გამოყოფისა და ს. ტ. უ-ს დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრები მთლიანად ვინაირებთ ზემოთხსენებულ განცხადების სამივე პუნქტში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ვინაიდან ვთვლით, რომ ასეთი მალალ დონეზე აღქურვილი სა-

მხედრო კათედრის უნივერსიტეტისთვის გადაცემა და მისი ქართული კადრებით დაკომპლექტება უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული არმიის შექმნის საქმეში.

მოთხოვნათა უახლოეს ხანში დაუყოფილებლობის შემთხვევაში, ე. დ. პ.-ს სტუდენტთა კომიტეტების წევრები, სადისკუსიო კლუბთან და ს. ტ. უ-ს სტუდენტურ პროფკავშირებთან ერთად მივმართავთ უკიდურეს ზომებს ამ მეტად უნივერსიტეტის საქიბის დროულად გადასაწყვეტად.

ზვიად რაბიანი,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის ხანელით.

ქუთაისის აპ. წარმომადგენლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მორალური ფაქტობის შემდეგ სპეციალურაგაზე:

1. გომელენი
2. ხატვა, ფერწერა, ხევა
3. ფოტოურნალიტიკა
4. ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება

მეორად პროფესიითა ფაკულტეტზე ჩარიცხებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომელთაც სურთ აითვისონ ახალი პროფესია. სასწავლო ციკლის წარმატებით გადის შემთხვევაში მათ მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მიეცემათ ქუთაისის სახელმწ. უნივერსიტეტის დიპლომი. ფაკულტეტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. სწავლის ხანგრძლივობაა 3 წელი, ხოლო სწავლების

ქირა 4200 მან. (მთელი სასწავლო ციკლის მანძილზე) მოცემულ თანხას გადმორიცხავენ ორგანიზაციებ ან მსურველები შემოიტანენ ნაღდ ანგარიშზე. სწავლების ფორმაა საღამოს დასრულებული. საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე. ფაკულტეტზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება
2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
3. დიპლომის ახლი
4. დახმარება-რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან
5. ფოტოურნალიტიკა 3X4-ზე

ჩვენი მისამართია: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59, III სსწ. კორპუსი, III სართული, 309-ე აუდიტორია.

რამტორაბი.

ამ წერილში ჩვენ შევხებით საქართველოს ისტორიის კიდევ ერთ ბედუღამართად ჩაწერილ ფურცელს — დუშეთის მახარაში გლეხთა აჯანყებას, ქართველ ძმთა შორის ამაზრზენ სისხლისღვრას, რომლის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ გაურკვევლობა, მოუთმენლობა და პროვოკაცია უყოფლა. სუვერენული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველსავე უბედურეს თვეებში ქვეყანა ვერ ასცდენია ანარქიული ექსცესებს და, რაც მთავარია, მოხალღობის პოლიტიკურ გაუთვით-ცნობიერებლობას, რომელიც კარგად გამოუყენებია რესპუბლიკის მტრებს თავის ხახარგებლად და იმდროინდელ მთავრობას, რთული საგარეო საქმის მთავარებთან შედარებით, საშინაო სტაბილიზაცია გას-პირებდა.

დაახ. 1918 წლის ზაფხულში დამოუკიდებელი საქართველოს წინა-აღმდეგ ამბოხება მოაწყო ბიჭნაურის დუშეთის მახარაში. სამწუხაროდ, სწავთა და სწავთა მიზეზთა გამო, ამ აჯანყების მიზეზი, ხასიათი, მხედლეობა, თუ შედეგები ფაქტობრივად დამახინჯებით არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის. ერთ ხანს ეს გამოხვდა და სხვა პროვოკაციებიც შეფასდა, ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ, როგორც „საქართველოში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ღირს-შესანიშნავი ფაქტი“, მაგრამ დროს თავისი მიაქვს და ისტორიული წა-რხული თავის ჭეშმარიტ ხანს როდესმე მაინც გვაჩვენებს დაუმახინ-ჯებლად; ფაქტების გაყალბებისა და პარტიულ-ტენდენციური შეღამა-ზების გარეშე...

... დემოკრატიული მთავრობისა-თვის სოფლის კეთილდღეობის ამოცანა პირველი რიგის პრობლე-მად იქცა. ეს კი არც ისე იოლი საქმე აღმოჩნდა საზოგადოებრივ ცენტრებს შორის არსებული წინა-აღმდეგობის არანაშუალოდ გაუარე-სებისა და გაზრდის პრობლემაში. ამასთან, გასწორდა გლეხთა რბევ-აწიოკება სხვადასხვა ანარქიული ელემენტების მიერ. ჭორბებსა და პროვოკატორებს აყოლილი ბევრი სოფელი უნდობლობას გამოხატავ-და მთავრობის მიმართ, რომელიც იმ ხანად ვერ აკმაყოფილებდა გლეხთა მთავარ მოთხოვნებს მიწების დანაწილებას, თუ ერო-ბების შექმნაზე. მდგომარეობას ამწვავებდნენ ფრონტიდან დაბრუ-ნებული ჯარისკაცები, რომლებმაც რუსეთიდან ჩამოიტანეს სოცია-ლისტური ლოზუნგები და ადგი-ლობრივ სიტუაციაში გაუთვით-ცნობიერებლები უკმაყოფილებას გამოთქამდნენ სოფლად არსებუ-ლი სიღატაკის მიმართ, მათ ჰქო-ნდათ იარაღიც, რომელიც შეეძ-ლოთ მიემართათ დამოუკიდებელი რესპუბლიკის მტრების მითითებით მთავრობის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ 1918 წლის 16 თე-ბერვალს გაზეთი „ერთობა“ მიუ-თითებდა სოფლად არსებულ გარ-იულუბულ სიტუაციაზე და იმ სა-შინაო ბრძოლაზე, რომელიც ელოდა საქართველოს დამოუკიდებლობას: „გლეხები არ არიან დარწმუნებულნი, რომ ძველი წყობილება არ და-ბრუნდება და მიწებს მთავრობა აქვლავ თავდაზნაურებს არ გა-დასცემს...“ ამიტომაც მასიურად ხდებდა თავდათა მამულების გაპარ-ტახება ან დატაცება. სჩვენ და ანადგურებენ ტყვეებს და ვენახებს. აობრებენ ბაღებს და სხვა, მაგ-რამ ამით არ კმაყოფილდებიან. ჰკლავენ მემამულეებს და ისე შორის მიდიან, რომ არ ინდობენ ქა-ლებს და მცირეწლოვან ბავშვებ-საც კი...

„გლეხობის დიდი ნაწილი თუმცა მონაწილეობას არ იღებს ამ ექსცე-სებში, მაგრამ მაინც არც მის მოს-პობაზე ზრუნვას, ადგვარად, გლე-ხობის ერთი ნაწილი ასცდა გო-ნიერი, მოქმედების გზას და გრძო-ბების სამყაროში გადაეშვა. მართო იმ ფაქტმა უნდა დააფიქროს გლე-ხობა, რომ მემამულეების წინააღ-მდეგ ძალმომერებით ბრძოლას და-ბრუნებული ჯარისკაცების ნაწილი აწარმოებს. სანგრებში დიდი ხნის გლეხობის დროს, ესენი საკმაოდ ჩა-მოშორდნენ სოფლის ცხოვრებას. აქა-იქ სოფლებში დაბრუნებული ჯარისკაცები სასოფლო ორგანიზა-ციებსაც კი ეხსნიან და ანადგურე-ბენ და ამას სხადიან რევოლუციის და სოციალიზმის სახელით...“

ცარიელი ნგრევა და არეკ-და-რევა როდია საკმაოდ დანგრევის ხანა ჩვენ უკვე განვლეთ, უკვე და-ეცა მთელი ქვეყნის ზურგზე გარ-თხმული და ძლიერი მეფის ტახტი. ახლა ახალი ცხოვრების მოწყო-ბაა საჭირო... გლეხები თავიანთი ორგანიზაციების გარეშე უნდა შემოიკრიბონ. მხოლოდ ამშინა სოფლის ხსნა“ (დასახელებული გაზეთი).

წილკნის და ამ სოფლების სა-ზოგადოებრივ ალყა შემოარტყეს მილიციას და გვარდიის რაზმებს, განაიარაღეს ისინი. ნაწილი ვან-დევენს, ნაწილი კი ტყვედ წაიყვან-ნენ. მათ გამოსასწნელად წასულ კაპიტან ფალიანს რაზმს ტყვეების დაბრუნებაზე უარი ვაუწყებდნენ და საქმის მშვიდობიანად მოგვა-რების მცდელობამ, სამწუხაროდ, მარცხი ფანიცადა.

19 ივნისს პოლკოვნიკ ფურცე-ლასის რაზმი გვეგზავრა თბილი-სიდან, რათა კიდევ ერთხელ მო-ეგვარებინა საქმე. შტაბს-კაპიტანი ალ. გიორგაძე წერდა: „ივნისის 21 მივებანეთ მცხეთას. და ბრძანება მივიღეთ სოფ. მისაქციელისაკენ წავსულიყავით... ხილთან დაგვხვდა ადრე მოსული რაზმი, რომელსაც გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა სო-ფელელებთან. 9 საათზე მოვიდა სო-ფელელებისაგან დელეგაცია და შე-მდეგი პირობები წამოგვიყენა: „ჩვენ წილკნის და მუხრანის სა-ზოგადოება არ დავყრით იარაღს და არ ჩავაბარებთ, სანამ თავდა-ზნაურებს მიწებს არ ჩამოართ-მეთ და არ გადმოგვცემთ“. ჩვენც ვუთხარი, სწორედ ეს უნდა ჩვენს მთავრობას-თქო... დელეგაციას ვა-რწმუნებდით, რომ დემოკრატიულმა მთავრობამ გამოგვზავნა, იარაღი ჩამოვართვით და ამით კი ჯარი შევადარდით რომ გარეშე მტრისა-გან თავი დავიცვათო. მოლაპარ-აკება არ დაგვიმთავრებია, რომ სო-

ას ჩვენი ისტორიაა — დუშეთის მახარა — 1918 წლის ზაფხული

ლიც აჯანყების წინ, მისი მიმდინ-არეობის დროს და შემდეგაც (ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს) სამაგალითო ლმობიერებით და მო-თხოვნით ცდილობდა მოკიდებო-და გამწვავებულ ვითარებას და ძმათა შორის სისხლის ღვრა თავ-რად აეცილებინა. მდგომარეობის განმუხტვა სცადეს იმით, რომ ია-რალის ჩამორთმევა გადაწყვიტეს სოფელი ჯარისკაცებისაგან, რათა „დენთის საწყობისათვის“ აფეთქე-ბის საშუალება არ მიეცათ.

აი, რას გვაძინებდა ვახუშტი „სა-ხალხო საქმე“ ამ ამბის შესახებ: „როგორც მოგეხსენებათ, მთავრო-ბამ გადაწყვიტა ხალხისათვის იარაღი აეყარა, ვინაიდან ზოგი-ერთი ბოლშევიკურად განწყობი-ლი ყოფილი ჯარისკაცი გამუდ-მებით ეწვიან ძარცვა-გლეჯას. სწორედ ამ მიზეზით ტფილისის გუ-ბერნიის კომისარმა გაგზავნა ქ. დუშეთში 50 კაციისაგან შემდგა-რი რაზმი. პირველად ს. ბახალეთს ჩამოართვეს იარაღი, მერე იქედან წილკნისაკენ წამოვიდნენ. სოფე-ლი მისაქციელი დასთანხმდა და ჩააბარა იარაღი, მხოლოდ წილკნის მცხოვრებნი კი მოულოდნელად გარს შემოგორტყნენ ჩვენს რაზმე-ლებს და აუტყვეს სროლა. მთ წინასწარ თხრობებიც მოგზაუბ-რებთან. ამის შედეგი იყო ის, რომ 50 რაზმილიდან თითქმის ნახევარი დახოცეს წილკნელებმა. მომხდარი საქმის სალიკვიდაციოდ გუბერნი-ის კომისარმა გაგზავნა სოფელ წილკანში ცოტალიდნი ჯარი, მაგ-რამ დახეთ უბედურებას, მიუხედა-ვად იმისა, რომ ემუდარებოდნენ სოფელელებს რამენაირად საქმე მოეგვარებინათ უჩხუბრად, მაინც არ ისმინეს ეს... და გაბრაზებულ-მა სოფელელებმა არ დაგვიანდეს, გარს შემოგვიარეს არავის პირით და საუკეთესო ჩვენი აშხანაგები ვერავლად წუთისოფელს გაქო-სალმეს...“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 263).

ფელელებმა შეტევა დაიწყეს და დილის 10 საათი იქნებოდა არავ-ის პირიანი შემოგვიარეს ტყით და ჩვენი რაზმიც ვეუბასუ-ხეთ... ჩვენი რაზმი, რომელიც არ მოელოდა სოფელელების თავდასხ-მას მცხეთისაკენ იბეჭდა... საფე-ლისხში ის არის, რომ საგურამო-დან მოვიდა დელეგაცია, იქაური კომისარს მეთაურობით, რომ ამბა-ვი გავეო. საგურამო ამ ამბობება-ში არ ღებულობდა თურმე მონა-წილეობას, თუმცა წილკნელები ემუქრებოდნენ თუ არ გამოხვალთ სულ ერთიანად დაგზოვითო. ჩვენ საგურამოელებს აეუხსენათ ჩვენი მიზანი და ისინიც დაგვეთანხმნენ იარაღს უჩხუბრად ჩავაბარებთო... საგურამოს კომისარმა თქვა, რომ „სოფლებში დაძმრწიან ნაძირალები და ხალხს ატყუებენ, თავდაზნაუ-რობა ეჩხუბება გლეხებსო და გლეხებს ამხედრებენ ჩვენი გვარ-იელები და რაზმის წინააღმ-დეგ...“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, 26 ივნისი).

ამასობაში აჯანყებულებმა და მათმა მეთაურებმა აიღეს ქ. დუ-შეთი, გამოაცხადეს საბჭოთა ხე-ლისუფლება, მცხეთის ერთ-ერთი იარაღის საწყობი გაძარცვეს, ხელი იგდეს მცხეთის და ქსნის რუნი-გზის სადგური და საფრთხის წი-ნაში. დააყენეს თვით თბილისიც. მცხეთის მიდამოებში გაჩაღდა მწვავე ბრძოლები. პირველ ხანებ-ში საქართველოს სახალხო გვარ-იელები დიდ დამარცხებას განი-ცდიდნენ: „17-21 ივნისამდე მცხე-თის გარშემო გაჩაღებული იყო გამაგებელი ომი — ნამდვილი სამხედრო ტექნიკით, პაეროპლანე-ბით, ჯავშოსანი მატარებლით, არ-ტილერიითა და სხვ. ერთი მხრივ ჩვენი მთავრობის ჯარები წითელი გვადიელი რაზმელები და მეორე მხრივ წილკნის, ნატარხის და მათი ახლომხალხო სოფლებიდან შე-მდგარი ჯარები ბრძოლობდნენ 3

დღეს... ჩვენი მხრივ 1500 კაცი იქნებოდა ამ დღეს, მოპირდაპირე, როგორც ამბობენ, 300 კაცი მეტი იყო. მოპირდაპირე ისეთი ცოდ-ნა, ისეთი ვაყაცობა გამოიჩინა, იმდენად მოუხედავად, რომ არც ჯავ-შოსანი, ჰქონდა, არც ზარბაზნები, არც პაეროპლანები და არც ოფიც-რები. მაინც დავამარცხა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი მხრივ განსა-კუთრებით ის არა ჯარისკაცები იღებდნენ მონაწილეობას, რომელ-თაც ჯერ ბუსუსიც არ ჰქონდათ ზედა ტურზე და ვინ, ვაკაც პირვე-ლად ექირათ ხელში. მოპირდაპირე სოფელელები კი ადგებოდნენ კარბატებში ნამყოფი ძველი ჯა-რისკაცებით...“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 266).

კაპიტან ფალიანს, როდესაც მშვიდობიანად ვერ მოგვარებია საქმე, ზარბაზნები დაუშინა და საშინებლად სოფელ წილკნისა-თვის შემდეგ კვლავ შეუთვლია, რომ იარაღი და ადრე დატყერილი სახალხო გვარდიელები დაებრუნე-ბინათ და არტილერია კვლავ აღმო-ჩნდებოდა. დაზინებულა სამი სახე-ლი, სკოლა და ეკლესია. ამის შემ-დეგ მათ ჩააბარეს 5 ტყვე და ია-რაღი. ხალხო, რაზე გვავადურებთ თქვენ ძმები არა ვართო — შემო-უთვლიათ წილკნელებს. ამ ამბების თვითმხილველი, კაპიტან ფალიანს რაზმის წევრი, ექიმ ილია ანდრო-ნიკაშვილი მაინც და მაინც არ იწონებდა არტილერიის ჩართვას ბრძოლაში: „როგორც ჩანს გლე-

ბობის ნაწილი მართლაც რომ და-ნებების მომხრე იყო და ნელ-ნელა ისიც გაათვითცნობიერეს. რომ ეს ატეხილი ომი მათი წამოწყება იყო და მთავრობაც ბევრჯერ ეცა-და მთათან საერთო ენა გამოენა-ხა. მაგრამ, როგორც თვითონ გლე-ხები წერდნენ, ამას ვწინააღმდე-გებოდნენ ნასალდასიარი სოფელი გლეხები და მათი ხელმძღვანელები“ (იქვე).

მაგრამ გლეხობამ მაინც მოახერ-ხა 24 ივნისს დუშეთის მახარის სა-ხელით სხვადასხვა სოფლებიდან თბილისში დელეგაცია გაეგზავნა 16 კაცი შემაღლებლობით. შტაბის წარმომადგენლებსა და დელეგა-ტებს შორის შეთანხმებებიც შეეშ-ვადა, რომ უნდა არჩეულიყო კო-მისია მთავრობისა და ადგილობრივი გლეხობის წარმომადგენლებისაგან — ვინც იყო ორგანიზატორი ამ საქ-მეებისა და დაშინაშევი სისტემა-დ უნდა დასჯალიყვნენ, მთავრობას უნდა აენახლაურებინა დაზარალე-ბულთა დანახარჯები და სხვ. ორ სოფელში დასთანხმდნენ ამ შე-თანხმებებზე, მაგრამ სოფელ მი-საქციელში ამ კომისიის წინააღ-მდეგ გამოვიდა თურმე რუსის ოფი-ცერი, რომელიც ხელმძღვანეობდა ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს, დელეგაცია აღარ გაატა-რეს და ძმათა სისხლისმღვრელი პროვოკაცია არც ამჯერად დამთავ-რებულა მშვიდობიანად (გაზ. „Борьба“, 1918, № 104).

28 ივნისს აჯანყებულების მიერ დაკავშირებული ბებრის ციხესთან მოხ-და გადაწყვეტი ბრძოლა და მე-ამბობენი დამარცხა საქართველოს სახალხო გვარდიამ. აქვე სრულიად შემოხვევით იქნა დაპატარებული მეამბოხეთა მეთაური ვინმე ხაჩა-ტუროვი, რომელიც თავს დუშეთის მახარის ბოლშევიკთა წინამძღვარს და მემარცხენე სოციალ-რევოლუ-ციონერს უწოდებდა (გაზ. „სახალ-ხო საქმე“, 1918, № 269).

ამის შემდეგ სახალხო გვარდიამ პოლკოვნიკისა და მკვეცილის საფიქრობით 1918 წ. აგვისტოს დაიწყო გადამწყვეტი შეტევა. წილკნის მონაწილეობით ჩვენი ჯარი წინააღმდეგობას არ უწევინ, აბარებენ იარაღს. გათხზულები თავიანთ ოჯახებს უბრუნდებიან. პოლკოვნიკი უხსნის მაცხოვ-რებლებს მათი მოქმედების ამგვარ მიზნას და დარიგებას აძლევს. ხა-ლხს — მუშაობას მიპყრობს სელი. ხალხი თანდათან ერკვევა და წვე-ლა-კრულეთი იხსნენეს იმით, ვინც ისინი შეაკიდნა. გუშინ 2 ივლისს ჩვენი ჯარი შევიდა სოფ. ნატარ-ხარში“ (გაზ. „ერთობა“, 1918, № 136).

შემდეგ უბრძოლველად შევი-დნენ სოფ. მუხრანში და წილკან-ში.

3 ივლისს კონიევისა და ჯულე-ლის რაზმებმა დააჭვეს აჯანყებუ-ლთა ცენტრი დუშეთს და საყრდენ-ნი ზაზა გამოაცალეს მათ. ვისაც არ სურდა იარაღის დათმობა ხელ-მძღვანელობასთან ერთად ყაზბეგი-საკენ უნდა იხევდა.

გაზეთი „სახალხო საქმე“ ამ სა-შინელ ძმთა სისხლის ღვრის გამო შეძრწუნებული წერდა: „იმ დროს, როდესაც საქართველო უნ-და ზეიმობდა თავის განთავისუფ-ლებას, როდესაც მკვიდროდ უნდა შეგვეკვირდეთ, რომ შევიარჩუ-ნით მონაბოვარე ჯაც უფრო ძნე-ლით ვიდრე მოპოვება, ჩვენ ამ დროს იქ, სადაც პირველად წმ. ნინომ აანთო ანთელი ქართველ-ების გამოსაყვანად ბნელეთიდან, იქ სადაც საუკუნოობით არავი და მტკიარი ეუხნებოდნენ ტყბის საგალობელს ქართველი აკვანს, აქ ჩვენ გამოვდივართ და შეგნე-ბულად ვეომებით ერთმანეთს მთელი საომარი ტექნიკური ძა-ლით...“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, № 266).

დუშეთის მახარაში მთავრობის გადაწყვეტილებით გაიგზავნენ მუ-შათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტთან არ-სებული სასოფლო სექციის წარ-მომადგენლები შეტევაში შე-ყვანილი აწიოკებული მაცხოვრებ-ლების დასამშვიდებლად და სოფ-ლებში ორგანიზაციების მოსაწყო-ბად. ისინი ახსნა-ფანაშარტებით ცდილობდნენ გლეხთა გაერთიანე-ბას საქართველოს რესპუბლიკის საკეთილდღეობად. ადგილობრივ მკვიდრთა ძლიან უყვიროდნენ თურმე გადატანით ბრძოლებისა და ამ-დენი მსხვერპლის შემდეგ ასეთი გულისხმიერება. აღსანიშნავია, რომ ამ სოფლებში მიუღიათ შე-საბამისი რეზოლუციები და სალა-მი გაუზავნეს საქართველოს მთა-ვრობას.

სოფელ წილკანში გლეხებს გა-ნუშარტავთ, რომ არეულობის და-წყება სრულიად გაუგებრად მო-მხდარა. პროპაგანდისტებმა გვითხ-რეს, რომ თავდაზნაურთა ჯარი მოდისო, თავს გვესხმიან და ია-რალის წართმევა უნდათო. კომი-სიის წევრები დუშეთში უხვად უნახავთ პროკლამაციები, რომლე-ბიც რუსულად ყოფილა შედგენი-ლი. გლეხთა დეპუტატების დუშე-თის აღმასრულებელი კომიტეტი ემუქრებოდა დახვრტით ყველას, ვინც კი ქადაგებდა გლეხების მიერ იარაღის ჩაბარებასა და კანონიერ მთავრობასთან შერიგებას. „ასეთი ხელისუფლება უნდა გაიგზავნონ ქ-დუშეთში აღმასრულებელ კომი-ტეტში სამხედრო-რევოლუციურ ტრიბუნალზე გადასაცემად. ხელს აწერდა დუშეთის მახარის გლე-ხთა დეპუტატების საბჭოს აღ-მასრულებელი კომიტეტის თავ-მჯდომარე თიღო შეშიაშვილი, რომლის შესახებაც გაზეთი „ერ-თობა“ აღნიშნავს: „ხაჩატურ-ფედ-კებს საუკეთესოდ უცნიათ ამო-ფარებოდნენ გლეხ თევდორე შე-შიაშვილს და მისი სახელით რუსუ-ლად ესაუბრონ წერა-კითხვის (დასასრული მ.6 მ.).“

ბაჟური

გზავნიერაბა გადაარჩენს კაცობრიობას!



ეროვნული
ზიგლოტიკა



1990
20 ოქტომბერი
პირველი 1990 წლიდან

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ორგანო
AGENCY OF INTERNATIONAL CULTURAL ASSOCIATION OF GEORGIA



საქართველოში ერთადერთ საციალიზაგულ
გაზეთ „პეგასი“, რომელიც ძირითადად
კულტურის, ხელოვნების საკითხებს აუშავებს
ხელმოწერა არცთუ ისე ძვირი დაგიჯდებათ:
ერთი წლით — 12 მანეთი,
ნახევარი წლით — 6 მანეთი,
ჩვენი ინდექსია — 66419.

ინდექსი 66419

ინდექსი 66419

ინდექსი 66419

რესპუბლიკის დიდ ორგანიზაციებში, სასწავლებლებსა და დასახლებულ პუნქტებში „პეგასის“ საუკეთესო გამავრცელებელს ელის ფულადი პრემია 300 მანეთი 500 ცალ წლიურ ხელმოწერაზე, პლუს 100 მანეთი ყოველ 100 ხელმოწერაზე 500-ს ზევით. გარდა ამისა, დაწესებულია წამახალისებელი პრემიები დიდი ხელმოწერისათვის. ცნობა დამოწმებული უნდა იყოს „სოიუზპეჩატის“ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ.



ეს სურათი გადმოგვცა ბატონმა ნიკოლოზ არჩვაძემ ზუსტად ხუთი წლის წინათ, როცა ვაჟა-ფშაველას ნუსტის დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადახვეწების 50 წელი შესრულდა. მაშინ ვერ მოხერხდა ამ ფოტოს გამოქვეყნება.
საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმ დღეს, 1938 წლის 17 ოქტომბერს თბილისში სტუმრობდა იოსებ სტალინი, მაგრამ მან არ ისურვა დიდი პოეტის ნუს-

ტის გაცოცხლება, თუმცა კი თანამედროვეები გვიმტკიცებენ მის დიდ პატივისცემას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი.
ამ ფოტოს შესახებ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს შემდეგისათვის გადავდოთ. მანამდე კი გამოხმაურებას ვთხოვთ ყველას, ვისთვისაც რაიმე არის ცნობილი იმ დღის შესახებ.

გიგლა გობაჩია

სხვა გაზეთებიდან

ეროვნული

ზიგზაგოვანი

ბილვებ
გვყავს
თუ არა



დიდი
პლაგი-
ანები?

ისევ ცოცხლობს თუ არა „მიით“ დიდ ადამიანებსა და გმირებს? თუ ცოცხლობს, ვინ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს ჩვენს რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში? — ამ კითხვებზე სცადა პასუხის გაცემა ფრანგულმა ყოველკვირეულმა „ექსპრესმა“. მან გამოაქვეყნა გამოკითხვის — „კიდევ გვყავს თუ არა დიდი ადამიანები“ — შედეგები, რომელიც ფრანგებს შორის ჩატარა ლუის ჰარისის სოციოლოგიურმა სამსახურმა. საჭირო იყო პასუხის გაცემა ერთადერთ კითხვაზე: არიან თუ არა დიდი ადამიანები ამ ფორტობზე (იხ. ფორტო) წარმოდგენილი პიროვნებები? ანკეტის შედეგებს რედაქციამ დაურთო პუბლიცისტების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და მწერლების კომენტარები. ყველაფერი ეს, წერს „ლიტერატურა“ გაზეთი (26. 09. 90 წ.) განსჯისათვის საკმაოდ საინტერესო მასალას იძლევა.

როგორც ჩანს, ადამიანთა წარმოდგენები გმირებსა და გმირობაზე ისევე, როგორც ყველაფერზე ამქვეყნად, ცვალებადია.

XX საუკუნის საფრანგეთის პირველ გმირად „ექსპრესის“

ანკეტაში შარლ დე გოლი აღმოჩნდა. მეორე ადგილი ფრანგებმა დედა ტერეზას მიაკუთვნეს.

„ექსპრესის“ ანკეტა დამატებულად ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა არ თვლის გმირებად სტალინს, ჰიტლერს ანდა ჰომერის — ისინი მათთვის სიძულვილსა და ფანატიზმს განასახიერებენ.

ფრანგები დიდ ადამიანებად ძირითადად იმათ იგლიან ვინც თავისუფლების, დემოკრატიის, ძმობისა და სამართლიანობისათვის იბრძოდნენ და იბრძვიან. ესენი არიან მარტინ ლუთერ კინგი, ანდრეი სახაროვი, ნელსონ მანდელა, ლეხ ვალენსა, სალვადორ ალიენდე, ჯავაპარალ ნერუ. გამოკითხულთა 84 პროცენტმა სათანადო ყურადღება დაუთმო სსრკ პრეზიდენტსაც.

„ექსპრესის“ ანკეტა ერთ სავალალო მოვლენაზეც მიგვითითებს — როგორც ჩანს, საგრძობლად დაეცა ინტელიგენციის პრესტიჟი. ეურნალმა ჩვენი საუკუნის დიდი პიროვნებების სიაში ნაკლებად წარმოაჩინა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

1. შარლ დე გოლი — გამოკითხულთა 97 პროცენტი მას უდიდეს ადამიანად თვლის.
2. დედა ტერეზა (94).
3. ჯონ ფ. კენედი (91).
4. უინსტონ ჩერჩილი (88).
5. იოან-პავლე II (84).
6. მიხეილ გორბაჩოვი (84).
7. ლეხ ვალენსა (82).
8. მარტინ ლუთერ კინგი (79).
9. ალბერტ აინშტაინი (77).
10. ნელსონ მანდელა (77).
11. ანდრეი სახაროვი (76).
12. პაბლო პიკასო (73).
13. ფრანსუა მიტერანი (72).
14. უან-პოლ სარტრი (67).
15. გოლდა მეირი (66).
16. კონრად ადენაუერი (62).
17. ანვარ სადათი (59).
18. ზუან კარლოსი (55).
19. კორასონ აკინო (53).
20. ბრიჯიტ ბარდო (51).
21. ჯავაპარალ ნერუ (45).
22. შარლ დე გალი (42).
23. სალვადორ ალიენდე (41).
24. ფილიპ პეტენი (41).
25. შაბიბ ბურჯიბა (40).
26. კლოდ ლევი-სტროსი (33).
27. ჩე გევარა (32).
28. იოსებ სტალინი (29).
29. ფრანსუა ჟაკობი (24).
30. ადოლფ ჰიტლერი (13).
31. იმამ ჰომეინი (13).
32. შტოკა-უჯენი (8).



ვაზბეგის რაიონის სოფელი სნო მდიდარია ძველი თავდაცვითი და საკულტო ნაგებობებით, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაშია. მხოლოდ ორი გამონაკლისია: ძველთა დაცვის სამმართველომ რესტავრაცია ჩაუტარა სნოს ისტორიულ ციხეს, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის ინიციატივითა და უშუალო ძალისხმევით თითქმის ხელახლა აშენდა ძველი ეკლესია „კვირის ქედზე“.

მაგრამ, ღვთისგან თუ არა, კაცისაგან კი: მართლაც მივიწყებული იყო სოფელი, დღემდე არსებობს უბანში მდებარე ეკლესია, რომელიც ეამთა უკუღმართობის დროს ჭერ გაიძარცვა და გააპარტახდა, შემდეგ კი იყენებდნენ ხან საწყობად, ხან — სკოლად, ხან — საჭიდაო დარბაზად.

1989 წელს ზემოთ აღნიშნული შენობა ინახულა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. გაცდა მისი რესტავრაცია. პროექტი დაამუშავა ვაზბეგის რაიონის მთავარმა არქიტექტორმა ზურაბ მარსაგივილიძემ, კონსტრუქტორი იყო ნელი შილაშვილი. საჭირო შეიქმნა მშენებლის გამონახვა. სწორედ აქ გამოჩნდა კავკასიაში 25-ე სამშენებლო რაზმის უფროსის დიმიტრი გზირიშვილის და მთავარი ინჟინრის ოქროპირ მაგარაქელიძის შამულიშვილური სულისკვეთება. მათმა ორგანიზაციამ თავის თავზე აიღო ხსენებული ეკლესიის თავიდან აშენება და იგი უსასყიდლოდ და უფასოდ, სრულ მზადყოფნაში ჩააბარა საქართველოს საპატრიარქოს.

უწმინდესმა და უნეტარესმა აკურთხა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სადაც იმ დღეს ცხრა წყვილმა ქალ-ვაჟმა დაიწერა ჯვარი.

რელიგიური დღესასწაული ხალხის მდინარეში დანათვლითა და საზეიმო ტრაპეზით დასრულდა, მაგრამ აქვე ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ პერსპექტივა უფრო ფართო მასშტაბის სამშენებლო ჩატარებას გეგმობდა, კერძოდ: საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, დარიალის ხეობაში, ე. წ. თამარის ციხის მოპირდაპირე მხარეს უნდა აშენდეს დიდი სამონასტრო კომპლექსი, სადაც გაიშლება სეკულური მეცნიერული მუშაობა, ჩატარდება სიმპოზიუმები, აშენდება კეთილმოწყობილი სასტუმრო და იქნება პირობები სულიერი განწმენდისა და დასვენებისათვის, აქ თავს შეაფარებენ გაჭირვებული მგზავრები. აღნიშნული მონასტრის პროექტზე მუშაობენ მამა ირაკლი და ზურაბ მარსაგივილი, ხოლო სამშენებლო სამუშაოებს კვლავ კავკასიაში იყისრებენ.

თქმა არ უნდა, რომ ჩანაფაქტი შორსაა გამიზნული...
ერი და ბერი რწმუნის გზაზე შემდგარი, ხოლო რწმუნის გზას სულიერი აღორძინებისაკენ მივყავართ, „იყავნ ნება ღვთისა“.

ნოზრევეან არაზული,
ვაზბეგის რაიონულ გაზეთ „დარიალის“ თანამშრომელი.

სურათზე: სნოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.
პ. ცინცარაშვილის ფოტო.

**საქართველოს
კულტურის
საერთაშორისო
ასოციაციაში**

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასში“ განიხილეს საქართველოს კულტურის ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის ბატონ აკაკი დვლიშვილის წერილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეზუთე კურსის სტუდენტის რაიმულ კირკიტაძისათვის სპორტული სტაბუნდის დანიშვნის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ რაიმულ კირკიტაძე ქართველ კულტურისტთა ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი წარმომადგენელია და ფედერაციის მიერ, რომ იგი პერსპექტიული სპორტსმენია. წელს ქალაქ კლავიპედაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მან მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის, როგორც საქართველოს კულტურის ფედერაციის დამფუძნებელს, პიანინა, რომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი საქართველოში სპორტის ამ ლამაზი სახეობის განვითარებასა და პროპაგანდას.

სპორტსმენის მორალური წახალისების მიზნით და მალაი სპორტული მაჩვენებლისათვის რაიმულ კირკიტაძეს, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის დღგენილებით, დაენიშნა სპორტული სტაბუნდი.

ქიხი

გოგი
ბარნოვის
ფილმები

საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში არაერთი ფილმი შექმნილა, რომელთაც შემდეგ ფართო პოპულარობა მო-

უხვევიათ. ამ სტუდიაში ნიჭიერი, შემართებული საქმის ერთგული რეჟისორები იღვწიან. მათ რიცხვს მიეკუთვნება კინორეჟისორი გოგი ბარნოვიც. მისი სახელი კარგად არის ცნობილი ქართული დოკუმენტური კინოს მოყვარულთათვის. ამ ბოლო ხანს განმაურდა ნიჭიერი შემოქმედის კიდევ ერთი ფილმი „დათოს ვარსკვლავი“, რომელიც უღრმოდ დაღუპულ ახალგაზრდა ხელოვანს, მხატვარსა და პოეტს დათო კრაწაშვილს მიუძღვნა.

ამ დღეებში საქართველოს სატელევიზიო სტუდიის კინოდარბაზში ჩატარდა გოგი ბარნოვის დოკუმენტური კინოფილმების ჩვენება. ეურნალისტების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფილმებმა „დათოს ვარსკვლავი“ და „გვერცლის ქორწილი“.

ფილმი „დათოს ვარსკვლავი“ არ შეიძლება მკუთრებელმა აღიქვას მხოლოდ ვიზუალურად, იგი უნდა შეიგრძნოს სულიერადაც. ამ ფილმში სწორედ პერსონაჟის სულიერი სიძლიერე ჩანს, უფრო სწორად ბავშვის არაბავშვური ღრმა სულიერი სამყარო. ფილმში ერთმანეთთან პარამონულადაა შერწყმული დათო კრაწაშვილის ნახატები და ლექსები.

გოგი ბარნოვიცის შემოქმედია, რომელიც გვერდს ვერ უშლის მანკიერი ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს და მათ თავისი შემოქმედების საფუძვლად იყენებს, გადააქვს მხატვრული აზროვნების

სფეროში. ამის უტყუარი მაგალითია მისი მეორე ფილმი „გვერცლის ქორწილი“, მასში ასახულია მრავალშვილიანი კაცის ცხოვრება, რომელიც აიძულეს დაეტოვებინა სამუშაო. ამის ფონზე ასახულია მისი ოჯახის პორტრეტი: უსამართლობის მიუხედავად მის ჰერტკვემ სიყვარული სუფევს. ამის დამადასტურებელია ვერცხლის ქორწილი, რომელიც ფილმის ფინალში ოპტიმისტური განწყობით მუხტავს მკუთრებელს.

გოგი ბარნოვიცის ხელოვანია, ვინც მუდმივ ძიებასა და დაუცხრომელ მოღვაწეობაშია...

გაგუა პაპაშვილი.

გაიხსნა ბრძოლიელ მსახურთა გამოფენა



მსახურთა

გუშინწინ მხატვრის სახლის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ბრახილიელი მხატვრების გამოფენა, რომელიც პირველად მოეწყო არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელს აღმოსავლეთ ევროპაში. მისი ორგანიზატორია საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“.

საპატივსაცემი ინფორმაცია სურათებზე: ბრახილიელ მხატვართა ნამუშევრები. გამარჯობის ფოტოები



პირველი აკორდი...

ღვთისმშობლობა დღეს მცხეთის რაიონში ჩატარდა საესტრადო სიმღერის ფესტივალი — „მცხეთა-90“. კონკურსის ჩატარება ითავა საქართველოს ახალგაზრდულმა კავშირმა, თავმჯდომარე — ხალხთვალისაშვილი და კულტურის სახლთან არსებულმა კოოპერატივმა „ფრესკამ“ გოგი იმერლიშვილის ხელმძღვანელობით.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მომღერლები, ანსამბლი „სემირამიდა“, როკ-ჯგუფი „საქართველო“, „თეატრონი“ — ასე უწოდებს იმ ადგილს, სადაც ხუთი წლის მანძილზე პირველად ჩატარდა როკ-ფესტივალი.

საოცრად ლამაზია ოთხ მთას შუა მომწყვდებული პატარა სტენა, რომელსაც ბებრის ციხე ედმოპყურებს, ზურგს უკან იმედოდ ჩვრის მონასტერი უდგას.

მარცხენა მხრიდან მშვენივალად — სვეტიცხოველი. ბევრი რამ არის ამ სილამაზესთან შეუსაბამო, დამტერული სკამები, თუ მიუხედავი სცენა. მაგრამ, როგორც იტყვიან „კაცი იმედით ცოცხლობს“, სწორედ ეს იმედი გააღვივა ჩემში ბატონი ზაალის ნათქვამმა, მის სამომავლო გეგმებში სხვა სამუშაოებთან ერთად თეატრონის მოწესრიგებაც შედის.

კონკურსის მონაწილეები მთელი მონდომებით ასრულებდნენ სიმღერას, რადგან ბევრი მათგანისათვის ეს კონკურსი პირველი იყო.

დიდი ხნის სჯაბასის შემდეგ ერთის წევრებმა შემდგენიარდ გაანაწილეს პრიზები და ფასიანი საჩუქრები.

ნორჩ შემსრულებელთა შორის პრიზები დაიმსახურეს: მეგი მამალაძემ, ეკა ეთერაშვილმა, მამუკა იაკობიძემ, საუკეთესო სიმღერის

შესრულებისათვის — მეგი მამალაძემ, პატრიოტული სიმღერისათვის — ნინო ფალავანდიშვილმა, აქტიური მონაწილეობისათვის — ქეთევან ოსეფაშვილმა, ანსამბლზე: „საქართველო“ და „სემირამიდა“.

მესამე ადგილი ვაიყვეს ნანა ბერაძემ და ზურაბ ბაინდურაშვილმა.

მეორე ადგილი — შმაგი ბაბულაშვილმა დაიკავა. პირველი — ნათია ნიკოლაძემ.

ფესტივალის გრან-პრის მფლობელი გახდა II საშუსიკო სასწავლებლის მოსწავლე — თამარიკო სოყურაშვილი.

ეს ფესტივალი პირველი და კვიქრობ, ბედნიერი აკორდი იყო მცხეთის თეატრონისათვის... ზოგს იმედი გაუმაართლა, ბევრი კი სამომავლო სამუშაოზე დააფიქრა...

ლიკა წილასანი, თბუ ურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია.

მუსიკა ქვეყნის ბასტროფიები ბასტროლაგადა

ახლანდელ ქართველმა დირიჟორმა ვახტანგ მაჭავარიანმა და მისმა სუბერ ორკესტრმა, რომელსაც „საფესტივალო ორკესტრი“ დაერქვა, ინგლისში „როიალ ალბერტ ჰოლში“ გამართა გალაკონცერტი, რითაც ლონდონში გაიხსნა სიმფონიური სეზონი.

კონცერტზე შესრულდა პოლ დიუკის „ჯადოქრის-მოწაფე“, რანსხინოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტი (სოლისტი ბორის ბერეზოვსკი), „მოსტაკოვიჩის მეთექვსმეტე ბისზე“ — ალექსი მაჭავარიანის სამი ნაწყვეტი ბალეტებიდან „ოტელო“.

მე, — მეუბნება ვახტანგ მაჭავარიანი, — ფაქტობრივად ვუდირიჟოვრე საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა წამყვან ორკესტრს. ყველა ორკესტრში არის კარგი და ცუდი შემსრულებელი. ამდენად, დამებადა იდეა სუბერ ორკესტრის შექმნისა, სადაც ყველა ორკესტრიდან ამოვარჩევდი საუკეთესო შემსრულებელს, თუმცა, ჩვენი ბიუროკრატიული აპარატის გეგმ, ეჭვი მეპარებოდა მის განხორციელებაში. კონცერტის ჩასატარებლად მოსკოვიდან საფრანგეთში მგზავრობისას გავიცანი სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცს. იგი აღმოჩნდა ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი კონსტანტინ სკრიაბინი, დიდი სკრიაბინის მემკვიდრე, რომელსაც ერთი მეოთხედი ქართული

სისლი ურევი. ისე მოხდა, რომ ამ პიროვნებასთან ერთად გავიარე ბილეთების რეგისტრაცია, ერთად შევედით თვითმფრინავში, ერთად დავსხედით, მთავარდგვეს საუზმე და ამ საუზმის დროს, საუბარში ჩემი იდეის შესახებ მოვუთხრე. იგი დაინტერესდა და მითხრა, მოსკოვში როცა ჩავიდი, მოგველოდებოდა. მართლაც, მოსკოვში დაბრუნებისთანავე დავეურეკე. მასთან დამხვდა მიხაილ მოგუტოვი, ახალგაზრდა მეცნიერი, ასოციაცია „ბიოობოტეისის“ უფროსი. იმ, ეს ასოციაცია (შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით, ახლა უკვე დამოუკიდებელი ორგანიზაცია) გახდა ჩვენი სპონსორი. ასევე შემთხვევით ვიპოვე სპონსორი ინგლისში. მოვიწვიე მუსიკოსები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ორკესტრებიდან და დავიწყეთ მუშაობა. ჩვენ ყველანიარად განვირდეთ ისეთ ორგანოებს, როგორცაა მოსკოვი, საკავშირო კულტურის სამინისტრო და სპონსორის დახმარებით მეცნიერებათა კავშირში შექმნილი ეს კოლექტივი. შევექმნით ადმინისტრაციული ჯგუფი, რომლის ცენტრებიც არის მოსკოვში, ვილნიუსში, ლენინგრადსა და თბილისში. ადმინისტრაციას დაენშნა მალაღი ხელფა-

(დასასრული მე-4 გვ.)



მარადიული ქანძილი

ვაახარა, ახალგაზრდა ხელოვანის ნიჭიერებასა და ნათელ პერსპექტივაში კიდევ ერთხელ ყველა დაარწმუნა, მაგრამ... ოჯახის დიასახლისი სულ უფრო და უფრო ნაკლებად პოულობს დროს ხელოვნებისათვის.



როდის შეიქმნა პირველი ქართული გობელენი? ვიცი, ამ კითხვაზე ბევრი თქვენგანი ვერ მიპასუხებს. ის კი არა, ალბათ ხელოვანთაგანაც ყველა ვერ გაიხსენებს ვინ გააკეთა პირველად საქართველოში გობელენი. მაშ შეგახსენებთ: თითქმის 20 წლის წინ სამხატვრო აკადემიის გამოყენებით ხელოვნების ფაკულტეტის მესამეკურსელმა მზია უგულავამ წარადგინა სადიპლომო ნამუშევარი — გობელენი „მშვიდობა“. ქალბატონი მზია მამინ უკვე დედა იყო და ალბათ თავად თემა, თუნდაც კომპოზიციის ამგვარი გააზრება — ქალი და პატარა ბიჭუნა, თავს მტრედის რომ დაფარფატებთ, მისი სულის გამოძახილი იყო. გობელენმა — მოულოდნელმა და საოცარმა სიურპრიზმა — ყველა



არადა მისი გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრები, პორტრეტები, პეიზაჟები უდრდის გემოვნებითა და რეალუნიებითა შესრულებული, აკადემიური სტილით შექმნილი ტილოები უფროდ შთამბეჭდავი და სასიამოვნოა, ამიტომ, ვფიქრობთ, იმ პირველ პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ასოციაცია „პეგასის“ ღიზიანერი, მხატვარი მზია უგულავა მალე შემოგვთავაზებს, მრავალი მნახველი ეყოლება.

სურათებზე: მზია უგულავა; ესკიზი პანონათვის; ნატურმორტი; პეიზაჟი.

თურმე, ნუ იტყვით, ჩვენთან მოდაში ასე რიგად შემოსული აგენტის შეურაცხყოფელი იარაღის მიწებება, არც ხალხვარგარეთის ქვეყნებისთვის ყოფილა უცხო.

თავად განსჯეთ — ნორვეგიელი მწერლის იან სიორეიდის წიგნი, რომელიც ამ უცხოა ხნის წინათ გამოვიდა, ცნობილი მომღერალი, როკ-ნ-როლინ მუფედ აღიარებული ელვის პრესლი, არც მებო, არც ნაკლები, „ფებერის“ აგენტად არის გამოცხადებული.

ცხადია, მწერლის ამ განცხადებას მსოფლიო პრესამ საქართვეკითი ყურადღება მიაქცია. სიორეიდმა განმარტა, რომ მისიან წლებში პრესლი რეგულარულად

მოზაიკა

სანსაცია თუ?..

ავდიდა ინფორმაცია. დაზერვის ფედერალურ ბიუროს იმ როკ-ვარსკვლავებზე, რომლებიც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს იღებდნენ.

ქნელი სათქმელია, რამდენად საუბედობლია ეს ბრალდება. მაგრამ ფაქტი, რომ მას ახლა დასაჯდნის დიდ უპირადებებს უთმობენ.

მეტოც, ნორვეგიელმა მწერალ-

მა გამოთქვა ასეთი ვერბიაც. კერძოდ, ის, რომ პრესლი ახლაც ცოცხალია და იმალება ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე, რომელიც საიმედოდაა დაცული ამერიკის სპეცსამხაზურის ხალხით.

როგორც მწერალი ახვანის, კუნძულზე მოხვედრა პრაქტიკულად შეუძლებელია...

რა არის ეს — მორიგი ხენსაცია თუ? — ... უფროდ შემთხვევაში, მწერალმა კარგად იცის, რომ „ფებერისთან“ ასეთი ზემოქმედი ისე არ ჩაივლის.

რა გამოდის? დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას — პრესის ეპიცენტრში ეს ფაქტი, ალბათ, მუდმივად იფიგურირებს.

სი, თავად კი უარი განაცხადე კოველგვარ ხელფასზე.

პირველი კონცერტი 17 ივნისს ლენინგრადის ფილარმონიის დიდ დარბაზში გაემართეთ. კონცერტს უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად, მუსიკოსები ბედნიერები იყვნენ.

ლენინგრადის კონცერტის შემდეგ დაიღო კონტრაქტი ინგლისთან. მუსიკოსებისათვის ცნობილია, თუ რამდენად პრესტიჟულია მსოფლიოში აღიარებულ ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“ გამოსვლა. ჩვენ იქ ვალა კონცერტით უნდა გაგვეხსნა სიმფონიური კონცერტების სეზონი.

შეგუვებით თვითმფრინავის ბილეთები, რატომღაც მოგვცეს რეისი მსოფლიო-პრაია-ლონდონი, უკან კი ლონდონი-მოსკოვი. გადავიხადეთ ფული. ბილეთების აღების დრო რომ მოვიდა, აეროფლოტმა ვალუტა მოგვთხოვა მანეთების ნაცვლად. თურმე ჩვენებს უთქვამთ უარი ჩვენი პრაიდიდან საბჭოთა თულით გამგზავრების გამო და სასჯებით გასაგები მიზეზით: ჩვენებისთვის ბენზინი აღარ მიუწოდებია საბჭოთა ავიაციას. ეს ამბავი ტელეფაქსით შემატყობინეს ინგლისში, სადაც საგასტროლოდ ვიყოფივართ. ცხადია, ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში საბჭოთა აეროფლოტი განადაგურე. გამანადგურებელი სტარია დავეწვიე „დეილი ტელეგრაფში“ სათაურით „საბჭოთა რეალობას წარმოადგენს აეროფლოტი“.

— მე მგონი, „საბჭოთა რეალობამ“ თავისი სისტემით არც შენ დაგინდო...

— დიან ამ სისტემამ მე ის პირობა შემიქმნა, რომ ცხრა წელი ვიყავი უმუშევარი, 5 წელი უცხოეთში გასვლის უფლება არ მქონდა, რატომ, დღემდე არ ვიცი. ავსტრიაში სტაჟირების შემდეგ უამრავი მიწვევა მივიღე, სწორედ მაშინ ჩამიკეტეს გზები, როცა ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ამერიკაში, კანადაში კონტრაქტებით წავსვლის საშუალება მქონდა. 1977 წელს დავამთავრე თბილისის კონსერვატორია და მხოლოდ 1986 წელს ვიყავი მიწვეული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სამუშაოდ, თუმცა, ვფიქრობ, 1985 წელს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს რომ არ მივეწვიე, შეიძლება თბილისში სამუშაო არც მდირსებოდა... დაუბრუნდეთ საუბრის თემას. „დეილი ტელეგრაფში“ სტატის გამოკვეყნებიდან 2 დღის შემდეგ საბჭოთა ფულზე ბილეთები მოგვცეს, მაგრამ მოგვიანებით აეროფლოტმა უკეთესი „სიურპრიზი“ შემოგვთავაზა: ინგლისიდან რომ ვბრუნდებოდით, აეროფლოტმა მოგვთხოვა ვალუტით კონტრაბასების (რითაც ჩვენმა ინსტრუმენტებმა ნებადართულ წონას გადააქარბა) ფული გადაგვხადა. რასაკვირველია, ჩვენ არ გვქონდა ვალუტა, რომ ეს უზარმაზარი თანხა დაგვეფარა, საბჭოთა მანეთებზე კი უარი განაცხადეს. გაუგებარია, საბჭოთა კომპანიის რატომ არ უნდა აეღო საბჭოთა ფული საბჭოთა კოლექტივისგან? იძულებული გავხდით დავრჩენილიყავი ინგლისში ათ უძვირფასეს კონტრაბასთან ერთად. დიდი ბრძოლა გადავიტანე აეროფლოტთან და საბჭოთა საელჩოსთან, რომელიც აბსოლუტურად არაფერში არ დამეხმარა... კონტრაბასებთან ერთად ინგლისში შენგემენტის დახმარებით ჩამოვფრინდით...

13 ოქტომბერს ვახტანგ მაკავერიანი „საფესტივალო ორკესტრთან“ ერთად სინგაპურში გაემგზავრა, საიდანაც გასტროლებს ვაგარძელებს იაპონიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთსა და პოლანდიაში.

ნონა ლომიძე



„მაიკლ ჯაქსონი საზოგადოებას ეთხოვება“

მაიკლ ჯექსონის „მსოფლიო საგასტროლო ტურნე“, რომელიც მოიცავდა 12 ქვეყანას და გრძელდებოდა 15 თვე, დამთავრდა. მისმა პირადმა მენეჯერმა, ფრენკ დილემომ განაცხადა, რომ კონცერტები ტოკიოში მომდერლის უკანასკნელი გამოხვდა. ამის შემდეგ იგი აპირებს სიმღერების ჩაწერასა და ფილმებში მონაწილეობას. რა არის ეს — საბოლოო გადაწყვეტილება თუ რიგითი სარეკლამო ფანდი?

იაპონური გაზეთი „ჯაპან ტაი-

ში“ წერდა: „მაიკლ ჯექსონი ამჟამინდელ უზარმაზარ ძალას. მისი დონე ხალხის წარმოდგენას აღემატება, ხოლო მისი ძალის წყაროს კი წარმოადგენს მისი სული“. ამავე დროს, აფხაზებს რა სიმღერას „აღამიანი სარკეში“, გაზეთი მას ურჩევს — შეწყვიტოს სარკეში საკუთარი თავით დატკობა და უფრო მიუღვოს გულს თქვენს. რას იზამთ — მგავს რჩევაზე შეკამათება ძნელია — იკლ ჯექსონისათვისაც კი. განსაკუთრებით კი საზოგადოებასთან დამშვიდობებისას.



მუსიკა

„ბილის მსხვერპლი“

50-იან წლებში გადაღებულ ძველ ფოტოსურათზე ერთ დროს ცნობილი ამერიკელი მომღერლის ბილი ტიპტონის ჯაზური ტრიოა გამოსახული. (თვითონ ცენტრშია). მუსიკოსის ნაზვრად დავიწყებულმა სახელმა კვლავ გაიღვა გაზეთებში ასოზიებით პრესის მიერ მოწოდებული სენსაციური ამბის გამო. 74 წლის ბილი ტიპტონის სიკვდილმა გახსნა საიდუმლოება, რომელიც უცნობი იყო მისი მეგობრებისათვის, თავისი სმეგმლებისა და ნათესავებისათვისაც კი: ჯაზმენი ქალი იყო... დამკრძალავი ბიუროს დირექტორმა დელიკატურად ამცნო ეს მიცვალებულის შვილს. „ბილის“

ხომ ცოლი და სამი შვილიც ჰყავდა რა თქმა უნდა, ურნალიხტებმა კიტი ოუქსზე, რომელზედაც ტიპტონი, როგორც ითვლებოდა, 1980 წელს დაქორწინდა, „თავდახსნა“ მოაწყვეს. „ქვირივი“ სიტყვა აღმონდა. მისი ოუქსმა მხოლოდ ის განაცხადა, რომ განხვეწებული ბრწყინვალე პიროვნება იყო. ჯაზში მოხვედრისათვის, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ნორმები და წესები გააჩნდა, ცხოვრებაში მას ბევრ რამეზე მოუხდა უარის თქმა. სქესზედაც კი... მოამზადა ნინო რაზმაძემ

იზარდეთ,



„ნერგებო“!

ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული-ქორეოგრაფიული სახალხო ანსამბლი „ნერგები“ ჩვიდმეტი წლისაა.

ჩვიდმეტი წლისაა ის ლამაზი საქმე, ანსამბლის მხატვრულმა ხელოვნებმა, კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა, ბატონმა ნოდარ მდინარაძემ რომ წამოიწყო.

ნორჩების მიერ შესრულებული ეშხიანი ქართული სიმღერა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიყვარეს. მრავალ ახლადშექმნილ ანსამბლს შორის „ნერგები“ დღესაც განაგრძობენ ღირსეულ არსებობას — ბატონი ნოდარი უკვე მეხუთე თაობასთან მუშაობს.

რეპეტიცია, მერე შესვენება, ისევ რეპეტიცია. შუალედში სულის მოსათქმელად არც კი სცალიათ, ინსტრუმენტების აწყობაც უნდა მოასწონ, კაბების მორგებაც.

— ბატონო ნოდარ! — კეთილ ანსამბლის მხატვრულ ხელოვნებას, — ბავშვები ერთნაირად კარგად ფლობენ ხმასა და ინსტრუმენტებს, ანსამბლში სრული ურთიერთშენაცვლება, როგორ ახერხებთ ამას?

პროფესიული საიდუმლოა პირველ რიგში კი, ალბათ, ღიმილით. მრავალფეროვანი გემები გვაქვს: ფირფიტის ჩაწერა, მოგზაურობა საზღვარგარეთ; 2 ნოემბერს ვილიუსში მივდივართ კონცერტების ჩატარებლად... დრო კიდევ ბევრს მოიტანს.

„ნერგების“ ახალი თაობა მხოლოდ ახლა იწყებს ფესვების გადგმას და ყველაზე მეტად მაყურებლის ღიმილი და მხარდაჭერა სჭირდება. იზარდეთ, „ნერგებო“!

თამარ ბრეგვაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.

რეკლამა

ცნობილი მკურნალი-ექსტრასენსი გიორგი სარდლიშვილი გაქანსაღების არახტანდარტული მეთოდებით მკურნავს მრავალ დაავადებას. მას მიღებული აქვს სამი მოწმობა ბიოველის კორექციის სარეაბილიტაციო სენსების ჩატარების უფლების შესახებ, მათ შორის მსოფლიოში სახელგანთქმული ექსტრასენსის, ჯუნა დავითაშვილის ქ. მოსკოვის სამეცნიერო მეთოდური ცენტრის — „ჯუნსაგან“.

გიორგი სარდლიშვილის მაგიური ხელის წყალობით ბევრს აღუდგა დაკარგული ჯანმრთელობა. ვისაც გაწუხებთ ეპილეფსია, ფსორიაზი, სოკოვანი დაავადება, ნადვლის ბუტვის ანთება, მარილების დაგროვება, პოლიარტიტი, პროსტატა, კოლიტი, კუჭქვეშა ჭირკვლის ანთება (პანკრიატი), თავის ქალის შიდა წნევა, სულიერი დაავადება, რევმატიული დაავადება, უროლოგიური დაავადება, ყოველგვარი ქალური დაავადება — ეწვიეთ მკურნალს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ახმეტის ქ. № 31 (მეტრო „მ00 არაგველთან“) 9 საათიდან — 15 საათამდე.

სკორტი

რიგაში — საერთაშორისო ტურნირი

ამა წლის 6-7 ოქტომბერს ქ. რიგაში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრი კულტურისში, სადაც მიწვეული იყვნენ საქართველოს კულტურისტთა ნაკრები და კულტურისში ფედერაციის წარმომადგენლები. 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიის კულტურისტმა ალექო თოლიაშვილმა ძალზე დაძაბულ ფინალში მეხუთე საპატიო ადგილი დაიკავა, დაჯილდოვდა მედლითა და დიპლომით. შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის „ქარვის თასის“ მფლობელმა აბსოლუტურ კატეგორიაში, ლიტუელმა სპორტსმენმა ოლეგ უურიმ ამ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა და გახდა

აბსოლუტური ჩემპიონი, 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა ლატვიის სამგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა აივარ ვისოცკისმა. წელს, დეკემბერში ქ. რიგაში დაეგეგმოს საერთაშორისო ტურნირი. ში მონაწილეობისათვის პერსონალური მიწვევა მე მივიღე. აქ ჩატარდება შეჯიბრი 40 წელს გადაცილებულ კულტურისტთა შორის, რომელიც „სენიორების შეჯიბრის“ სახელითაა ცნობილი.

ანრიკო კოკლაძე, საქართველოს კულტურისში ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე.

	გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ	საკადაპციო კოლეჯი
	<p>დაიბედა საპრთველოს კვ ტა-ის გამოცემლობის ტბამაში</p>	<p>მისამართი: 380062, თბილისი, ი. ზავეზაძის პრ. № 55.</p>



განდავს ერთგულად გაქვ?

განსოვთ, ალბათ, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტთან აქტიური კომუნიკაციები რომ ერთგულ მოძრაობაში მონაწილე თავიანთ თანატოლებს — გუშინდელ მეგობრებს, თანაკურსელებს დასარბევად დაერივნენ. ასე მგონია, ის დღე 1989 წლის 18 თებერვალი მათ უკვე სამარცხენო მოგონებად ექცათ. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენთანაც დაახლოებით ასევესი შემთხვევა მოხდა. ოღონდ ამჯერად დამპირისპირების როლში „კომუნისტის მანდატი“ აღმოჩნდა.

როგორც იცით, აგვისტოში ჯერ ზუგდიდში, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში გაიფიქრა მილიტარული-ერთობის მოთხოვნა იყო დემოკრატიზაცია.

ზუგდიდის მილიციის კვლად-კვალ ჩვენთან — თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა II საქალაქო ქვეგანყოფილებაში შედგა პირველადი პარტორგანიზაციის კრება, რომელზეც დემოკრატიზაციისა და, ამდენად, ამ ორგანიზაციის თვითლიკვიდავის დადგენილება მიიღეს, შემომუშავეს სოლიდარობის მიმართვაც გაფიქრული კოლეგიალური.

ამ კრების მეორე დღეს (მეორე დღე) უპარტიო, მას არ დავსწრებივარ, სამსახურში თანამშრომლები შემფორთხებულნი დახვდნენ იმის გამო, რომ ყველას, ვინც კი პარტიული ჩაბარა, რაიგანყრფილების უფროსი შოთა ძნელაძე თავისთან იბარებდა.

პირველ გამოძახებაზე არავინ გამოცხადდა, რადგან მივხვდით, ჩვენს წინააღმდეგ გარკვეულ ღონისძიებათა გატარება იწყებოდა.

მეორე დღეს სამსახურში კვლავ დაძაბული სიტუაცია დამხვდა. თანამშრომლები ნერვიულობდნენ, რადგან კვლავ ითხოვდნენ მათ მისვლას უფროსთან. გადაწყვეტეთ საგაფიცო კომიტეტი შეგვექმნა და გააფორმებული გავიცვა გამოგვეცხადებინა. ჩვენი მოთხოვნები იყო შემდეგი: მილიციის დემოკრატიზაცია და დემოკრატიზაცია; გაუქმებული პოლიტიკური ფიცილების საშტატო ერთეულების ხარჯზე უბნისა და

რედაქციისგან: როგორც ჩანს, სამართლებრივი ორგანოების (და არა მარტო მათი) დემოკრატიზაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტა შორს აღარაა. დღეს თუ ხვალ ეს მოხდება. მაშინ, ალბათ, ავტომატურად იქნება თავი გამოართმონ მათ. ვინც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვის ამ სამართლიანი და ბუნებრივი პროცესის წინააღმდეგ; ვინც ძველებური მონური მორჩილებით ასრულებს ვიდაციის ანაქრონიზმულ მოთხოვნებს და მკერდით ეფარება ერთპარტიულ ინტერესებს და ტენდენციურობას იმ ორგანოში, რომელიც ობიექტურობისა და სრული სამართლიანობისთვისაა მოწოდებული.

დღეს კიდევ დროა. ხვალ გვიან იქნება გულზე ხელების ბრაგუნა. ხალხის (ჩვენს გვერდით მყოფთა) შეხსიერება ყველაფერს ინახავს.

სისხლის სამართლის ინსპექტორების შტატის დამატება; იმ თანამშრომელთა შეფიქრების შეწყვეტა, დემოკრატიზაციის მოთხოვნით სკვპ რიგებიდან რომ გავიღწეო.

3 აგვისტოს ჩვენთან შესახვედრად მოვიდნენ და საგაფიცო კომიტეტი წევრებს გვესაუბრნენ თბილისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. როგავა და სხვები. საუბრისას, რომელიც საკმაოდ კონსტრუქციულად წარიმართა, ოთახში შემოვიდნენ ლენინის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი კ. გუჭაბიძე, აღმასკომის თავმჯდომარე დ. ზუბიტაშვილი, რაიგანყოფილების უფროსი შ. ძნელაძე, პირველი საქალაქო ქვეგანყოფილების უფროსი დ. ზეიკიძე და სისხლის სამართლის სამმართველო ქვეგანყოფილების უფროსი თ. ჯიბაძე.

შემოსვლისთანავე შოთა ძნელაძემ გამოიტყვიანა, რომ ჩატარდა რაიგანყოფილების კრება, რომელზეც დაგმეს ჩვენი საქციელი, უნდობლობა გამოგვიცხადეს ამგვარ მოთხოვნათა გამო, რომ გაფიცულებს გარეთ გავგვრიან და ჩვენს მაგივრად თვითონ იმუშავენ. ამის შემდეგ უცნაურად სიტყვებით მომბარბოეს დ. ზეიკიძემ და თ. ჯიბაძემ. ჩვენმა თანამშრომლებმა თავდაპირველად გამოიჩინეს და არ აპყენენ ამ პროვოკაციულ გამოსვლას. ვინ იცის, რა მოხდებოდა — ორივე მხარე ხომ შეიარაღებულნი იყო.

ამ აქციაში აქტიურად III ქვეგანყოფილების უფროსი ავთანდილ დოლაკიძე და მასი მოადგილე გონა ფარქოსაძე; სპეკულაციისა და სოციალური დატაცებასთან მებრძოლი ქვეგანყოფილების მუშაკები ნიკოლოზ ბოლოთაივი და ტარიელ მჭარიშვილი.

მეორე დღეს საგაფიცო კომიტეტის წევრებს შეგვხვდა შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე და ჩვენს მოთხოვნათა შესრულებათა დახმარებას შეგვიპირდა.

აი, ასე დაგვიპირისპირა ერთმანეთს კომუნისტის მანდატი. ამ აქციის შემდეგ ის ხალხი; გუშინ ერთმანეთის გვერდით რომ იბრძოდნენ დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ, თავდახრილი ჩაუვლიან ხოლმე ერთმანეთს, რადგან რცხენიათ თავიანთი „ეპუკატორის“.

გიგა გულშა,
მილიციის მაიორი ლენინის რაიონის შს განყოფილების II ქვეგანყოფილების უფროსი.

„ზარანდიას“ ფენომენი და მისი გასწორების საჭიროება

ქრისტიანული რელიგია, რომელიც ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის მსოფლმხედველობრივ პრინციპზეა აგებული, მოუწოდებს ერთიანობისაკენ, მთლიანობისაკენ, რადგან იგი სიკეთის რელიგიაა, სიკეთისა და მშვენიერების მსოფლმხედველობა.

როგორც სიკეთეს ყოველთვის უპირისპირდებოდა და კვლავ უპირისპირდება სიბოროტე, ასევე სიყვარულისა და მეგობრობის რელიგიას მუდამ ედგა ოპოზიციისა და თანადგომის სიდიადე და რელიგიური ძალა, რომელსაც, საბოლოო ჯამში, წინ ვერაფერი დაუდგება. სიბოროტე კი მაინც ცდილობს თავისას და მოქმედებს ძველ და ცნობილ შეგონებით: დაშალე და იბატონე. ეს შეგონება მზაკურულ პრინციპს წარმოშობს, რომელიც გარკვეული მოქმედების შედეგად ხშირად აღწევს კიდევ მიზანს. მაშასადამე მასაც გააჩნია რელიგიური ძალა, ოღონდაც დროებითი, მოჩვენებითი, რადგანაც, ზოგჯერ სიბოროტისა არ იყოს, ბოლოს მაინც სიკეთე და სიყვარული, მეგობრობა და მშვენიერება იმარჯვებს. სიბოროტე მაინც სიბოროტეა, იგი თავისი არსობრივი ძალებით მაინც ამბობს თავის სიტყვას. მიხეილ ჯავახიშვილისა არ იყოს — სიბოროტე ურმით დადის, მაგრამ მიზანს მაინც აღწევს.

„დაშალე და იბატონე“ მზაკურული პრინციპი ძალასთან ერთად სისუსტესაც შეიცავს, რადგან ის აჩენს სიბოროტის შიშს სიკეთის მიმართ, რადგან სიბოროტე უძლურია ერთიანობის, მთლიანობის წინაშე და ამიტომაც მისწრაფვის მისი დანაწევრებისაკენ, დაქუცმაცებისაკენ. მაშასადამე, სიკეთისა და სიყვარულის უძლველობა გამოლიანებაში, ერთად ყოფნაში, ურთიერთგაგებაში ყოფილა.

„დაშალე და იბატონე“ პრინციპი შესანიშნავადაა გახსნილი ცნობილ რომანში „დათა თუთაშხია“ და იღებს „ზარანდიას ფენომენის“ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სახეს.

გასსოვთ ის პასაჟი, როდესაც რუსეთის იმპერიის მსახურებმა ვერ მოახერხეს ყაჩაღების, აბრაგების განადგურება, იმითი მოსპობა, ვინც არ ეუბებოდა იმპერიის უსამართლობასა და ჩაგვრის და თავისუფალ ცხოვრებას არჩევდა. ისინი საშიშნი იყვნენ, რადგან მათ დიდი გადამდები ძალა ჰქონდათ და შეეძლოთ ხალ-

ხის აყოლიება. ეს კი იმპერიას ცხადია არ აწყობდა. ამიტომაც იგი დიდ ძალას ხარჯავდა ამ თავისუფალი პიროვნებების ლიკვიდაციისათვის. ამისათვის არც მატერიალურ სახსრებს ზოგავდა და არცთუ გონებრივ შესაძლებლობებს. მაგრამ ამოდ. იმპერიისათვის ეს საშიში ტენდენცია სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა. ხალხში იღვიძებდა რწმენა თავისუფლებისა, პატივისცემა და მოწიფება იმ პიროვნებებისადმი, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ დამპყრობელთა ბოგინის თავიანთ ქვეყანაში, მათსავე უსამართლობებს და შეუპოვრად ებრძოდნენ კიდევ მათ. მღვდმარეობა საგანგაშო იყო, შესაძლოა მთელი ერის გაერთიანებისა და გამთლიანების „სახიფათო“ ტენდენციაც განვითარებულიყო და მერე გვიან იქნებოდა.

აი აქ და ამ დროს სარბიელზე გამოდის ზარანდია, რომელიც ემყარება სწორედ „დაშალე და იბატონე“ პრინციპს, ოღონდაც თავისებურად გადახარშულს და „შემოქმედებია“ განვითარებული. „დაშალე და იბატონე“ ცნობილი პრინციპი ზარანდიას მიხედვით უნდა განხორციელებულიყო მინიმალური დანახარჯებით, ინკოგნიტოდ და, რაც მთავარია, ობიექტი უნდა განადგურებულიყო არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ, და უწინარესად ყოვლისა, სულიერად, მორალურად. მას სახელი უნდა გატყდომოდა საკუთარ ხალხში, რათა გრს თავად დევგმო თავისუფლების რაინდები ანუ თავადვე ვაკოეტანა განაჩენი თავისი არსებობისთვის და მომავლისთვის, ოღონდაც ზარანდიას ჩანაფიქრის მიხედვით.

გასსოვთ, რა დიდ წარმატებებს მიიღწია ზარანდიამ. ნაკაშიებმა თუთაშხიას გადაუწვეს სახლი, სარჩიმელიამ ნაკაშიები ჩახოცა, თუთაშხია კი საკუთარ შვილს მოაკვლევინა და ასე შემდეგ. მხოლოდ დათა არ წამოეგო ზარანდიას მზაკურულ ჩანაფიქრს, რადგან მან ცხადად შეიცნო „გარეშე ხელის“ მოქმედება. ამიტომაც არ პასუხობდა იგი მოძმეთა, აწ უკვე გადამტერებულთა, შეტევებს. ნეტავ ყველა თუთაშხიასათვის მოქცეულიყო, მაშინ ზარანდიას ჩანაფიქრი მარცხისთვის იქნებოდა განწირული. ჩემის აზრით, ზარანდიას ფენომენი დღესაც მოქმედებს. რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას ცხადია არ აწყობდა და არც აწყობს ქართველი ერის ერთიანობა, მისივე გამოლიანების გზით. აშკარა, უხეში დამპირისპირებით იმპერია ვერას გახდა. თვით ტანკებმა და

ქიმიურმა იარაღმა ვერ შეაჩერა ქართველი ხალხის ლტოლვა და უკვე რეალური სვლა თავისუფლებისაკენ. პირიქით, ცხრა აპრილის ტრაგედიამ უფრო შეაჯამირა და გააერთიანა ქართველი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეის ირგვლივ. მოხდა სასწაული: თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნათელი იდეებით აღივსენ სხვადასხვა პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივ პოზიციებზე მდგომი ადამიანები. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნათელი მოწოდებებით გამოდიოდნენ უკვე ისინიც, რომლებიც ადრე აღნიშნულ მოწოდებებს ექსტრემისტულს ან ნაადრევს არქმევდნენ სხვადასხვა მოსაზრებებით. ეს უკვე აშკარა და გამოკვეთილი საფრთხე იყო მოდერნიზებული იმპერიისათვის. მას გადამდები ძალა ექნებოდა სხვა დაპყრობილი და დამორჩილებული ერებისთვისაც. საქართველო იყო ამ ტენდენციის განადგურება, მაგრამ რით? კვლავ აშკარა და უხეში ძალით? ეს უფრო მეტ გამოლიანებას გამოიწვევდა და ხალხი უფრო მეტად დაირაზმებოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეებით აღვსილი და ამ იდეების რეალური განხორციელებისათვის მებრძოლი.

და აი, აქ კვლავ გამოვიდა ასპარეზზე ზარანდიას ფენომენი. ამჯერად არა რომანში, არამედ რეალურად ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, გამოვიდა და დაგვაწიოკა, ჩვენზე ხელით გვახგვრევენებს იმას, რაც ძლივს ვაპყნებთ. „გარეშე ხელი“ დიდი მონღოლებით „მუშაობს“ და ერთმანეთს ატაკებს მოძმეებს, ხოჩისა და ქაქსასკეს ეროვნულ მოძრაობას, აქედან ქართველი კაცის ყოველდღიურ ყოფსაც; რადგან, რა დასამალია და, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს შეე-

ნო. საქართველო ამ ფენომენის გაცნობიერება და განადგურება. ამისათვის კი, ზარანდიას ფენომენს, „გარეშე ხელის“ მოქმედებას უნდა დაუპირისპირდეს თუთაშხიას ფენომენი, „შინაგანი ენერჯის“ მთელი შესაძლებლობები. ხოლო, „დაშალე და იბატონე“ მზაკურული პრინციპს წინ უნდა აღუდგეს ერთიანობისა და მთლიანობის ტენდენცია, სიძულვილისა და სიბოროტის, მტრობისა და გაუტანლობის, სიყვარული და სიკეთე, მეგობრობა და ურთიერთთანადგობა.

ზურაბ ზაზნიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

არადგვუბათი დავუბათი

პატივცემული რედაქცია, ახლახან ჩატარდა გორის რეგიონალური სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა ეს მიმართვა. ვინაიდან ადგილობრივმა გაზეთმა უარი თქვა მის გამოქვეყნებაზე, გთხოვთ თქვენ მოგვცეთ საშუალება ჩვენი აზრის გამოთქმის.

— ვინაიდან ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანია და მასში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, კანონის თანახმად უნდა იმყოფებოდნენ შედარებით ერთნაირ მდგომარეობაში.

— ვინაიდან გორის სახალხო დემუკრატია საქალაქო და რაიონული საბჭოების ე. წ. გაერთიანებული პრეზიდიუმში არ წარმოადგენს კონსტიტუციური ორგანოს და აქედან გამომდინარე ე. წ. მისში შემდგარი გორის სახალხო დემუკრატია საქალაქო და რაიონული საბჭოების ე. წ. გაერთიანებული სე-

სრულიად დაუმსახურებლად, ყოველგვარ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ნორმებს მოკლებული სახალხო დემუკრატია საქალაქო და რაიონული საბჭოების ე. წ. გაერთიანებული პრეზიდიუმით თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა. უკაცია, რადგან იგი ამჟამად არ არის გორის ან გორის რაიონის საბჭოების სახალხო დემუკრატია, რაც პირადად პირველი მდივნის ალ. კუცაძის და კომპარტიის მხრიდან ბელისუფლების უზურპაციადა უნდა შეფასდეს. აღნიშნული მდგომარეობა მას და მის პარტიას აყენებს სრულიად დაუმსახურებელ პრივილეგიურ მდგომარეობაში და აშლავს საშუალებას თავისი ახლანდელი არაკონსტიტუციური, უკანონო მდგომარეობით მინიჭებული უფლებები და საშუალებები (ტრანსპორტი, არესა, კემირ-გაბმულობა და სხვა) გამოიყენოს წინასაარჩევნო კამპანიაში, როგორც დემუკრატობის ერთ-ერთმა

კანდიდატმა კომპარტიის მხრიდან. ამიტომ მოვითხოვთ: — 10 დღის ვადაში ცალ-ცალკე იქნას მოწვეული სახალხო დემუკრატია გორის საქალაქო და რაიონული საბჭოების სესიებზე, რომლებზეც გაუქმდება გორის სახალხო დემუკრატია საქალაქო და რაიონული საბჭოების ე. წ. გაერთიანებული სესიის გადაწყვეტილებები ე. წ. გაერთიანებული პრეზიდიუმისა და პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის (დანიშნვის) შესახებ. სესიებზე არჩეულ იქნან შესაბამისად საქალაქო და რაიონული საბჭოების პრეზიდიუმები და საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები შესაბამისად გორის საქალაქო და რაიონული საბჭოების სახალხო დემუკრატია შემადგენლობიდან, როგორც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 87-ე მუხლის მიხედვითაა განსაზღვრული.

ჩვენის ღრმა რწმენით მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ალ. კუცაძის სიტყვებით რომ ვთქვათ „სიბოროტისა და სამართლის აღდგენა“ და დაისახება „პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის“ გზები (ციტატები ამოღებულია ალ. კუცაძის მიმართულ „გორულეს“ გაზეთი „გამარჯვება“ 16 იანვარი, 1990 წ.). წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ ერთხელ დაერწმუნდებით, რომ კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა, არც ახლა აქვს და არც მომავალში იქნება სურვილი იმისა, რომ საქართველოს ჩატარდეს მეტნაკლებად თანასწორი, დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები და იძულებულნი გახდებით მივართოთ სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციებს.


გორის რეგიონალური სახალხო ფრონტი

სიის გადაწყვეტილება „პრეზიდიუმის“ არჩევის შესახებ არაკონსტიტუციური და უკანონოა (საქართველოს სსრ კონსტიტუცია 87 მუხლი). ამასთან „პრეზიდიუმის“ მთელი შემადგენლობა (11 წევრი) „რეკომენდებული“ იქნა კი გორის გაერთიანებული კომიტეტის მიერ, ამიტომ, ცხადია, იგი ბრძალ ემსახურება პარტიის დიქტატურულ მიზნებს, რაც კომპარტიის არჩევნებში მონაწილე პარტიებთან და ორგანიზაციებთან შედარებით აყენებს დაუმსახურებელ პრივილეგიურ მდგომარეობაში.

— ვინაიდან კი გორის გაერთიანებული კომიტეტის I მდივანს



„ოსნება“



John Lennon

„ჩვენ შენ გვიყვარხარ, ჯონ! ჩვენ შენ გვპირდები!“ — ამ სიტყვებით ხვდებოდა მსოფლიო ჯონ ლენონს... ამ სიტყვებით იხსენებს მსოფლიო ჯონ ლენონს. დიდი ხელოვანის ცხოვრებაში ყოველთვის არის მომენტი, რომლის დაფიქსირებაც თითქმის შეუძლებელია ერთ მშვენიერ დღეს ის სიყვარული, რომელიც საკუთარი შრომის, ნიჭიერების, შემოქმედების ფასად მოიპოვე, მთლიანად დაგეპატრონება, მიიმედ ჩამოგადებს მხრებზე ხელს და გაგაძნობინებს, რომ შენ თავს აღარ ეკუთვნი, შენ უკვე სიყვარულის კუთვნილება ხარ! ამ წუთიდან მოყოლებული ხელოვანის ცხოვრებას უკვე მისია ჰქვია. ამ წუთიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე ერთი ნაბიჯია, ერთნაირად უმოწყალოდ რომ გაირდება ჩვეულებრივი მოკვდავივით წასვლასაც და უკვდავებასაც.

ჯონ ლენონმა ის ნაბიჯი უკვდავებისაკენ გადადგა.

ერთ-ერთი საუბრის დროს იან გილანს ვკითხე: ელვის პრესლის თუ იცნობდი-მეთქი? (ციტ, რა შიშაასუხა? პრესლი ღმერთი იყო ჩემთვის, იმდენად დიდი ღმერთი, რომ მასთან შეხვედრაც კი არ მინდოდა, ვიცოდი, ვგრძობდი, რომ მასთან შიშვდებოდა და ჩემი, როგორც მუსიკოსის თვითგანადგურება ერთი იქნებოდაო.

...ჯონ ლენონს მანიამა ესროლა... ასეთ სიკვდილშიც არის რაღაც საკრალური და სიმბოლური. თუმცა, ლენონის ცხოვრების დასაწყისი ჩვეულებრივი და უბრალოა. ლივერპულის ერთ-ერთი კოლეჯის ჩვეულებრივმა მოსწავლემ ჰაბუკუმი სიცილქის გამო გული ვერ დაუღო ფიზიკასა და მათემატიკას და გიტარა აიღო ხელში. აქედან დაიწყო მითი, რომელსაც მოგვიანებით სახელად დაერქვა „ბითლს“. ამ მითს რამდენჯერმე დაემუქრა განადგურება და ბოლოს იქცა ლეგენდად, რომელსაც დღეს „ჯონ ლენონი“ ჰქვია, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, თყვანისმცემლები ყოველთვის ეძებენ სენსაციურ ინფორმაციას, ხასია-

თისა და ყოფის ამსახველ საინტერესო, ხშირად უმნიშვნელო დეტალებსაც კი სათუთად უყრიან თავს და ცდილობენ, როგორმე ჩასწვდნენ ვარსკვლავის შინაგანი სამყაროს საიდუმლოებას. ჯონ ლენონის მთელი საიდუმლო მისი სიმღერებშია ჩაღებული; როდესაც მის შემოქმედებაზე საუბარი, ხშირად ელერს სიტყვა „მარტივი“ ეს ეპითეტე ყოველთვის მაღიზიანებს: არ შეიძლება მარტივი იყოს სიმღერა, რომელიც გაგაძნობინებს, რომ მისი შექმნის მომენტში ლენონი ნაწყენი, ბედნიერი, შეყვარებული, გაბრაზებული, მეტროპოლი, ინდიფერენტული ან პესიმისტურად განწყობილი იყო. ეს წერილი მხოლოდ ჯონ ლენონზე ფანატიკურად შეყვარებული მსმენელისთვის არ იწერება; ის ჩვეულებრივმა, ნაკლებად დაინტერესებულმა მკითხველმაც შეიძლება წაიკითხოს და ამიტომ თავს უფლებას მივცემ მოგაწოდოთ ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ როგორ ჩმნიდა ლენონი თავის სიმღერებს, როგორ მუშაობდა თითოეულ მათგანზე და რას განიცდიდა თავად. გახსოვთ ლენონის „რეინ“ (წვიმა)? — „ბითლსის“ ფსიქოლოგიური რევოლუციის ერთ-ერთი ეტაპობრივდ მნიშვნელოვანი სიმღერა? — მთელი დღე წვიმაში ხეივანის შემდეგ დაბრუნდა ლენონი სახლში დილის ხუთ საათზე.. დამძიმებული თავით გავემართე მაგნიტოფონისაკენ და ჩაერთე ფირი, ერთხელ კიდევ დაეაბრუნე, მოვისმინე მელოდია და საოცარი ტრანსი დამეუფლა. რა არის ეს? ეს მეტისმეტია და მე ნამდვილად მინდა სიმღერის კიდევ ერთხელ მოსმენა, ვგრძნობ, რომ „წვიმა“ გონებას მინათებს“. ასეთი სამუშაო ვარიანტები სხვადასხვა სიმღერების დღემდე არის შემორჩენილი. რა თქმა უნდა არ შეიძლება მათი შეფასება, როგორც დასრულებული კომპოზიციებისა, მაგრამ თითოეული ფირი მნიშვნელოვანია მუშაობის სტილზე წარმოდგენის შექმნის თვალსაზრისით. სიმღერა „whatever Gets you thru the Vight“ ჩაწერილია ლენონის მიერ 60-წუთიან ფირზე, თუმცა ის, რაც

ელერს, ძნელად თუ მოგვაგონებს სიმღერას შესანიშნავი ალბომიდან „ქედლები და ხილები“. „ჩანაწერი იწყება ჯონის ბურტუნით, რომელშიც სმენის დაძაბვის შემთხვევაში გავიგონებთ სიმღერის სახელწოდების აღნიშვნელ სიტყვებს. შემდეგ ისმის აკუსტიკური გიტარის ნახი არპეჯით და იხატება რითმული სურათი — ბევრად უფრო ნელი, ვიდრე ფირფიტაზე, როგორც ჩანს, ოთახის ფანჯრები ღია იყო: ისმის მანქანების ხმაური, ბავშვების სიცილი და ყვირილი. ლენონი ტემპს უმატებს. ამ დროს იგრძობოდა სამ აკორდს უკრავს და ჩურჩულებს nit'all right (ყველაფერი კარგადაა). მოულოდნელად, თითქმის შემთხვევით, გადადის სრულიად სხვა ტონალობაში და კომპოზიციის უკვე ჩნდება კარგად ნაცნობი შტრიხები. ჯონი კი, თავისი მიგნებით აღფრთოვანებუ-

ლი, წამოიძახებს: „ო, ღმერთო ჩემო, ეს არის ის, რასაც ვეძებდი!“ (სტივენ პიპლზი. ამერიკის რადიოსადგური „უესტვუდ“).

სამაგიეროდ „Instant Karma!“ ერთ დღეში შეიქმნა. თავად ჯონი იგონებს: „ეს სიმღერა საუზმემდე დაწერე, ლენონმა ჩაწერე და სადილობისას უკვე მოვისმინე“.

ყოველთვის, როდესაც ჯონი გიტარას აიღებდა ხელში, გვერდით მდგარ მაგნიტოფონს რთავდა. იწერდა ყველაფერს: ფრაზას, რეპლიკებს, მელოდიის ყველა ვარიანტს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფრაგმენტი მოეწონებოდა, გადაჰქონდა იგი ნოტებზე. როგორც ჩანს, მას არ უნდოდა არც ერთი მუსიკალური იდეის დაკარგვა. სწორედ ამ ჩვევის გამო ლენონის გარდაცვალების შემდეგ მის ბინაში ნაპოვნი იქნა ათასობით ფირი, ვიდეოფილმები, ფოტოალბომები, მოყვარულთა კინოფირები, წერილები, ჩანაწერები, სანოტო რეველები. ცნობილმა პროდიუსერმა ენდრიუ სოლტმა იოკო ონოს თანხმობის შემდეგ გადაწყვიტა ჯონ ლენონზე ფილმის შექმნა. გადამღებ ჯგუფს მუსიკოსის არქივის გადასაზიდად ორი საბარგო მანქანა დისპირდა. „რამდენადაც ვიცი, — შენიშნა სოლ-

ტმა — პრიზილიტ კინოს არქივი გაცილებით უფრო ნაკლები იყო. თუმცა, ბოლოს — დაბოლოს კენედი რომ მხოლოდ პრეზიდენტი იყო“ — აი, სად ბრუს ჰემსბორტემა! მსოფლიოს ყველაზე ცნობილი, მაღალი რეგალიებით შემკული ისტორიული პიროვნებებისათვის, ალბათ ძნელად დასაჯერებელია, რომ ლენონმა თუნდაც ერთი სიმღერით — „imagine“ გააერთიანა სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, ფერის, მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანები, დაამშვიდა აღულებულები, ააღლვა ინერტულები, ასწავლა სწორი გზა ცხოვრებისათვის, უკარანახა სიცოცხლის მიზანი. ალბათ, სწორედ ამიტომ, მისი მკვლელობის ავადმოსაგონარ დღეს ლენონის სიყვარულში შეთქმულმა მსოფლიომ ხმამაღლა ამოიგმინა: „ოცნება დასრულდა!“ ასე გვეგონა მაშინ. სამწუხაროდ, ასე ვფიქრობთ დღესაც, მაგრამ საკმარისია ჩავრთოთ მისი სიმღერების ჩანაწერები, რომ გული ვეღარ დავუმორჩილოთ ფიქრს. გული მაინც თავისას ამბობს: „ჩვენ შენ გვიყვარხარ, ჯონ! ჩვენ შენ გვპირდები!“.

მაია დათუნაშვილი, მუსიკოსმცოდნე.

დასრულდა!“



JOHN LENNON



გვერდის სომხური არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალ-ორბინები“ და მათი ასოციაცია ფირმა „არგო“.

პოლანდიური სავაჭრო ფირმა **კოპეუინ ტრაიტიინგი**
იტალიური სავაჭრო ფირმა **კლარინი**
იაპონური სავაჭრო ფირმა **ვაკკო კოპეი**
ფრანგული სავაჭრო ფირმა **კოპეუი**
გერმანული ფირმა **სანტორიუსი**
პოლონური ფირმა **კოლენა**

29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე გიწვევან საქმიან შეხვედრაზე თელავში.

შეხვედრის დროს საბარემო-ეკონომიკური ფირმები

იურსარვისი, ეკონომსარვისი, ინტერკონტაქტი, ინოვინსტავკა

წადიკითხვან ლექციებს საბარემო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე და გაზიარებენ კარგადიკულ დახმარებებს მოლაპარაკებების წარმოებისას.

კომერციული ინფორმაციის ბანკი „დელტა“ უზრუნველყოფს თქვენი წინადადებების მსოფლიოს 5000 ფირმისათვის შეტყობინებას.

თუკი თქვენ ვსურთ

გასწავთ ერთობლივი საწარმო, შეიქმნეთ ან გაცვალოთ პროდუქცია, ტექნოლოგიები, მანქანა-დანადგარები, ჩაბატონო გაცვლითი ოპერაციები, სათავაში ჩაუდგეთ უცხოეთის ფირმების წარმომადგენლობებს და საფირმო მალაჩიებს, მოემსახუროთ საბარემო-ეკონომიკურ ოპერაციებს.

...მოკლედ, უშუალო პირდაპირი კონტაქტები დაამყაროთ საზღვარგარეთის ფირმებთან — ნუ გაუზიარებთ უანს მოხვდით შეხვედრა-სამინარხო შეხვედრა-სამინარხო მონაწილეობას ბალტიკისპირეთის, შუა აზრის, რუსეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპარატივების ხელშეწყობაში. აგრძელდ, საშუალება გქვამათ კავშირის საწარმოებთანაც დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები.

სამინარხო მონაწილეობის მისაღებად საჭიროა სარეგისტრაციო შესაბანი 1200 საბარემო მანეთის ოდენობით გადაირიცხოს ანბანზე № 100461718 სსრკ მრეწველობის ბანკში. საქართველომრეწველობის ქ. თბილისი. ამ თანხაში შედის სასტუმროსა და კვების ღირებულებაც. მსგებლთა რეგისტრაცია დარეგულირებულია 29 ოქტომბრის თელავის სასტუმრო „ბახეთში“. შეხვედრის მონაწილეობა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ გადაირიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები. თანხის გადაირიცხვის შესახებ დამატებით უნდა იცნოთ ორგანიზაციის თბილისის ბიუროს: 380008. თბილისი. საბარემო ქუთი 105.

სამინარხო მონაწილე უცხოური ფირმების სია დაუზუსტდება კართვალ მონაწილეთა წინადადებების გათვალისწინებით. გთხოვთ წინადადებებითა და ცნობებისათვის მოგვმართოთ ტელეფონზე: 98-31-89 (სამშაობო საათებში), 99-56-65 (პრესამშაობო საათებში) შეგიძლიათ გვეწვიოთ პირადად: რუსთაველის 23. პირველი სართული. სამცხიერო ცენტრი „აია“. ამავე მისამართზე შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა შესახებ. ფირმა „არგო“.

დედ სკონსერტო დარბაზში



ხალხი დაილა... ქართველ კაცს მოსწყურდა ხალხის ცეკვა და სიმღერა. ამის მიზეზი ალბათ დღეს საქართველოში შექმნილი დამაბული პოლიტიკური მდგომარეობაა. რადიკალიზაციის განტვირთვის, დასვენების მოთხოვნის გამო გვიჩნდება...
ყოველივე ზემოთ თქმულის საბუთად ის ფაქტიც საქმარისია, ამა წლის 8 ოქტომბერს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მაყურებელს რომ ვერ იტყვდა, ახალგაზრდები ჰარბობდნენ უფროსებს. ამ დღეს გამართული კონცერტი საქველმოქმედო ასოციაცია „ალ-ორბინების“ ინიციატივით ჩატარდა, მაყურებელი კილევ ერთხელ დატება საყვარელი მსახიობებისა და მომღერლების გამოსვლებით: კორტე მახარაძის, ლევან უჩანავიშვილის, რამაზ იოსელიანის, გურამ სილაგაძის, ზინაიდა კვერცხილიძის, ირმა სოსხაძის, ბესიკ კალანდაძის, გოგი დოლიძის, ეკა მამალაძის, ინგა ბერაძისა და ნიკო ნადირაშვილის გარდა, სცენას ამშვენებდნენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლის მოცეკვავეები, თბილისის პანტომიმის თეატრი, ანსამბლები „ნინო“ და „მართვე“.

„...ამჟამო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენი“ — მღეროდნენ „მართვეს“ ბიჭები და ვგრძნობდით კიდევ უფრო როგორ ღვივდებოდა ჩვეს გულში ჩაუქმრალი იმედის ნაპერწკალი, როგორ ჰქებოდა დალოლობის შეგრძნება... სცენა და დარბაზი ერთი, მთლიანი გახდა.
კონცერტი დასრულდა, მაგრამ ხალხი ისევ იჯდა დარბაზში, შეუჩინებლად ვავიდა ორ საათზე მეტი სიმღერით, ცეკვით, ლექსებით...
„კონცერტი არ იყო ჩვეულებრივი, მხოლოდ გასართობი, იგი საქველმოქმედო გახლდათ და შემოსული თანხა ჰეშმარბრად დიდებულ საქმეს, ქართული სოფლის მშენებლობის მოწმარდება.
ძირველ ქართულ მიწაზე ახალ სიცოცხლეს დაიწყებს სოფელი ჰუჭობი, და როდენ სასიხარულოა, რომ სოფლის მშენებლობისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე თქვენი 8 ოქტომბერს ჩატარებულ კონცერტზე მყოფი მოქალაქეების მიერ შეტანილი თანხა ირიცხება, რითაც ერთგვარ ვალს ვინდით. სამშობლოსა და ერის მომავალი თაობის წინაშე.

ხათუნა დანელია, საქველმოქმედო ასოციაცია „ალ-ორბინების“ პრეს-მდივანი.

დედგანდელი ჩვენი გავითი 16-33მარდინია.

ყურადღება!

გავით „ახალგაზრდა ივერიელი“ და საბალევიკო პროგრამა „ილუზიონები“ რეკლამების შეტყობინებით ტელეფონზე: 87-58-25; მისამართი: ბუღაგაშვის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო“-ს საბარემო სააგენტო

ასოციაცია „ალ-ორბინების“ ფირმა „კამერტონი“ 30 ოქტომბერს გიწვევთ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამოზე 25 წელი როკ-სცენაზე ბაი ქიტიაშვილი. მონაწილეობენ: კაკო ვაშალო-

მიძე, თამრიკო დავითაშვილი, ბორის შხიანი, თემურ წიკლეური, შოთა დავითაშვილი, მანანა თოდბე, ვლადიმერ მოგელაძე, ვიაკვაშვი, თემურ ყვითელაშვილი, ამირან იობაშვილი, ვლადიმერ

კოვზირიძე, მერაბ სეფაშვილი, ზურაბ კობეზიძე, ნუგზარ ერგემიძე, ჭგუფები: „მორიტორი“, „ოკეანე“, „ბლუზ მობილი“. კომენტარი ევგენი მაჭავარიანის. პროგრამა მიჰყავს ნუგზარ კვა-

შალს და დარბაზს გულიაშვილს. დასაწყისი 20 საათზე ორგანიზაციებიდან განცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ბუღაგაშვის ქ. № 1 „ალ-ორბინების“ ფირმა „კამერტონი“.

თბილისის № 126 რეინიგზის საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი იწვევს სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულ კაბუკებს, რომელთაც აქვთ სრული საშუალო განათლება „ელმაგლის მემანქანის თანაშემწის“ სპეციალობის შესასწავლად. სწავლების ვადა 8 თვეა. სტიპენდიისა და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის საერთო რაოდენობა, რომელსაც

მოსწავლე მიიღებს, შეადგენს 250-დან 300 მანეთამდე. სასწავლებელი იწვევს აგრეთვე სრული საშუალო განათლების მქონე კაბუკებსა და ქალიშვილებს, „მატარებლის გამცილებლის“ სპეციალობაზე სასწავლებლად. ნავარაუდევია, რომ აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულები მოემსახურებიან ტურისტულ მატარებელს და ამიტომ ეს ჭგუფი უცხო ენებს შეისწავლის გავრდილი პროგრამით. მათი

სტიპენდიისა და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის რაოდენობა, რასაც მიიღებენ ხელზე 90-დან 120 მანეთამდე. სწავლების ვადა 8 თვეა. სასწავლებელს აქვს „ქთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი კურსდამთავრებულები განაწილებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოსწავლეებს სპეციალობისთან ერთად შეუძლიათ დაეუფლონ აგრტომლოლის პროფესიას და სას-

წავლების დამთავრებისას დიპლომთან ერთად მიიღებენ აგრტომბილის მართვის უფლებას (3 კატეგორია). სასწავლებლის მისამართია: თბილისის გლდანის რაიონის ქერჩის შეს. № 5. დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონითაც 67-53-15; 67-63-08; 67-63-22. იჩქარეთ ახალგაზრდებო! სწავლა დაიწყება 1 ნოემბერს.

ხალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазრда ივერიელი»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერალებს განყოფილება — 98-80-49.

გავითი პაპოლის კვირის სააგენტო საქართველო, სომხეთი, უკრაინა, რედაქციას შეიძლება მისაღები ავტორებს უყარ უზრუნველყო.

რედაქტორი ვერა ბალაჩივილი

საქართველოს კ. ც. -ის სტამბა 380008, თბილისი-88, მ. კობტავის ქ. № 14, აბეგდება რედაქტორი წესით სავაჭრო კორპუსში, სომხეთის № 29 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 68400

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. მ. კონსტანტინე ქ. № 14.